

ვერდი

Region

№34
2019 ივლისი

თვალთ მივხედავით
არსთა შორის
უზენაესს, უპირველეს
მეფეს ქართველთა

ღავითის
ქანდაკებისთვის
რუსთაველის
გამზირისა და
რესპუბლიკის
მოედნის გასაყარნი
უაღმარებელი
მეზაბ გერმანიული

ლევან
გომეზას
ღავით
აღმაშენებელი
ქართული
დრამატურგიის
საუკეთესო
ქმნილებაა

ქვათა გამცოცხლებელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა მერაბ ბერძენიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება. თანამედროვეობის უდიდესი მოქანდაკე ეპოქალურ მოვლენად იქცა და სამუდამოდ დარჩება ქართველების ეროვნულ მეხსიერებაში.



სარჩევი

მეფე-გვირგვინოსანი დავითი	2	დრო უღმობლოად გარბის... ..	19-20
მედეას სიზმარი	3	დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან 155 წლისთავი	21-23
„შურსა და ცილობე ამაღლოებული... ..	5-6	ლოცვა	24-26
ნიკოტსიით დარუბანდამდის... ..	7-9	აუხდენელი ოცნება	27-30
. და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს	10-12	გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები	31
მერაბი ჩემს დღიურებში და დავით აღმაშენებლის თავგადასავალი	13-16	ანეკდოტები	32
სამუდამოდ - ერის ისტორიაში	17-18		



მთავარი რედაქტორი და გამომცემელი

ლელა სურმავა

ტელ: 558 25 65 50

ელფოსტა: Guriaregion14@mail.ru;
lelasurmava@mail.ru

კვირვასო მკითხველავო!

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები,
ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ
თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები.
გაითვალისწინეთ, ყურნალში განთავსება ფასიანია.

ჟურნალი თავისუფალი ჰრასის ჰრინცივით ხელმძვანალოვს.

რედაქციაში შემოსული მასალის სიუხტაჟა ჰასუხს აზავს აზბორი,
ხოლო სარედაქცია ბაჰსტაჟა ჰასუხისგზავლობა რედაქციის შამაჰეთს აანისრავა.

მეფე-გვირგვინოსანი დავითი



დავით აღმაშენებელი

რაოდენია რწმენა ერისა
 მადლი, შენდობა, მადალ ღმერთისა,
 რაოდენია ცოდნა ერისა
 ცოდვათა მუისვე შემეცნებისა,
 რაოდენია მრევლი ქვეყნისა
 იმ საიდუმლოს მზიარებლისა,
 რისთვის მოვსრულვართ
 რისთვის მოვსრულვართ,
 იქნებ, ღვინო ვართ მივებებისა,
 იქნებ, ცოდვა ვკჭირს,
 იქნებ, თავსა ვკჭირს,
 სულში ჩამდგარი ამაღლვანება,
 იქნებ, უწიგნოდ, იქნებ, უწილოდ
 ვვინებავს ნადიმი, ნაუროვანება,
 ჯვარი აღმართე, მითხარ სიძმართლე
 შენ შენი ერის ვადანარჩენად,
 ტაძარს იარე, ლოცვით ეამე,
 სამებას გულის წარმოსახენად,
 ცეცხლი ღვთოური, ხვედრი ცოური,
 ჩვენი დედა, უფლის სულია,
 ცოუნათებით, წმინდა სანთლებზე
 სულიწმინდისგან ვადმოსულია,
 ჯვარი აღმართე – ვვასწავლიდა მეფე დავითი,
 ვერც ზღვა ურწმუნო, ვერც სხვა ურჯულო
 ვერც იხილავდა ნაკადულს დამშრალს,
 დიდგორზე ლაშქარს წინ უძღოდა შავი გიორგი,
 ჯვარი აღმართე – შენ ხარ ნაყოფი,

შენ ხარ წუხილის, ლხინის გამყოფი,
 ჯვრის მონასტერში ფრესკად ნამყოფი,
 შენ ხარ იმედი, ღმერთის დასტური,
 მეჯურეთული ალადასტური
 რაოდენია რწმენა ერისა
 წმინდა მეფეთა შემეცნებისა,
 დავითიანი, კურანაპლატი
 მოწრულ-თმიანის ნინოს ძირონი
 მდელა-ცვრიანი, ლოდ-ხევ-კლდიანი
 კალმას-ბზიანი შენი იორი
 ურთხმელ-ტეიანი, უხვ-წყალ-წელიანი
 მინანქრეული შენი რიონი,
 ცა-უჩვეულო, ვულ-უტეურო,
 ცრემლმორეულო ჩემო ვენახო,
 ვზარეული, ქანცვალეული,
 ვადარეული ნეტავ ვენახე,
 ვულანთებულო, თვალდანთებულო,
 ჭედურ-ხმლიანო, დიდგორის ველო,
 თეთრ-რამ-მზიანო, დავითიანო,
 წმინდა გიორგით ხარ მადლიანო,
 ჯვარ-წრულ-მოძეულო,
 დავ-თვალ-მოწრულო,
 ჩვენი ნინო და თამარიანო,
 ჩვენი დიდგორი, ეს ბასიანი,
 ხატს სდის ძირონი ალერსიანი,
 მოვინატრებია ის ივერია
 სიხმრად ნახულნი რომ ირევიან,
 ვამონათდი ივერია
 ვიშრინო დალალებო,
 ფიქში დარდი ვირევიან



დიდგორის ველი

ხარცისანო მანახებო,
მადლმოსილო მიწა-წყალო
ზამბახებით განახულო,
ჩემო ზვრებო, კლდე და წყარო,
მირონდენით დანაძულო,
ირმინო იალაღო
ვვირილებით მოფენილო,
შენ ნიაჟო, ედემ-ბაღო
იადონო მოფრენილო,
შენ ხარ ღვინით, ხვანჭკარებით
რიონის ზირს მოწეული,
გარჯიანი კახელებით
დარწეული ბროწეული,
სადოვრებო ზურმუხტებო
ჭედილებით მოჯგვილო,
საორბეო მწვერვალებო,
კვირიანო მოდრეკილო,
შენ ტაძარო თამარისო

ჩუქურთმებით მოკალმულო,
შენ დაღალო გიშრისთმისო
ამბიონო მოხატულო,
ვიცი, სიბლია ამაოება
და ეს სიცოცხლე მადლის ღირსია,
უფიქრობ, სიკვდილით დაბოლოება
ცაში საუფლო სამზადისია,
ჩვენ მოვდიოდით ლოცვით, ხატებით
მერმისსაც ფრთებით დაუხატებით,
თუ სასოებით მადლი გივრძენია
შენ სიუვარულით ხსნა შეგიძლია,
შეგთხოვთ უფალო, მოგვცე უნარი
შევივრძნოთ შენი მადლმოსილება,
უფრო და უფრო, ვით ჩვენ მას უწეით,
ჩვენი ხორცის და სულის მხილება.

გოგა ბოჭორიშვილი
თანამედროვეობის გამორჩეული პოეტი

მედვას სიზმარი

აიას ველებს არ აძინებს ჩურჩული ისლის
ღამის ნაბადი მოუხურავთ მთებს ბუმბერაზებს
და ქარაუ კლდეში კიბეებად ნაკვეთ ტერასებს,
ჩუმად მჩქეფარე ჩამორეცხავს ჩანჩქერი ნისლის.
ამაღანტების წიაღიდან მდინარე ფაზისს
თან ახლავს გმინვა და გოდება მრავალტანჯულის,
იაფეტის ძის, ამირანის კლდედ მიჯაჭვულის,
და ხმა წეული, სანადიმოდ წეული ბაზის.
მადლა ცაზე კი ახალმობილს თოთო მთავარეს.
ელია ურწევს ღრუბლის აკვანს ტუტემწოვარეს.

ძილის მორევში ჩაძირულა აისქალაქი;
თვით კარდვასაც მორევა ფარული რული;
გაღვანს მიღმა სთვლემს გრძნეული ცირას ჭალაკი
და არემარეს მდუმარება მოიცავს სრული.
აიეტ მეფის სასახლის წინ ცეცხლი გიზვიებს,
კოცონის ირგვლივ გაეინული ღანდები სხედან;
ცეცხლი კისკასობს, ლაღობს, ცეკვავს, უხმოდ კისკისებს
და ღანდებივით ცანცანებუნ ჩრდილები ხეთა.
მედვა კომპის სარკმელიდან დანცქერის კოცონს,
ანცი და ცელქი ცეცხლის ცეკვა აოცებს, მოსწონს.



მედვა, ელგუჯა ბერძენიშვილი

აღავსნებს ვრძნობა უცნაური და საამური;
სულში აღუძრავს როკვისა და თამაშის ხალისს,
ქალწულებრივი, თუ ქალური მიმოხვრა აღის.
თვით აღენთება, მოედება ცეცხლის აღმური;
სთხოვს და დაითხოვს მარინოლას, საუვარელ მხევალს,

და როცა თავის სამყოფელში მარტოდ დარჩება,
ჩაიცქვს კაბას ხალხებიანს, ფერადფარჩებს,
მოჭკეპება როკვას ალისებურს, რწევის და რწევის;
მიდის სარკმელთან, ტრიალდება, უკან ბრუნდება
და ცეკვავს, ცეკვავს, ვიდრე ბრუნვით არ გაბრუნდება.

და მერე, ისევ, რა სარკმელთან მიდის, ჩერდება;
ცეცხლს ახერდება დედაკაცურ ფიქრით ვართული;
ტურფა, მკერდსავსე, ტანკენარი, მალალ ფერდება,
ქედუნრელი და მედიდურად ეელშემართული.
განსაცვიფრებლად ლამაზია ასული მეფის;
აღსავსე არაქვეყნიური იდუმალებით,
აქვს მომხუსხველი, დაბინდული, ლურჯი თვალები
და დალალები ოქროსფერი, ბზინვარე თმების.
განსაცვიფრებლად ლამაზია დალთა დობილი,
აიეტისგან იდიიას მიერ შობილი.

მედეა იყო ჯადოქარი, ქალი მძნობელი,
მოქმედი მძნა და მისნობათა, გამხსრეკი ნაცრის
ნათელმხილველი და სიზმართა ამომცნობელი,
დედა ქერუმი, თუ მისანი ლამაზს ტაძრის.
გრძნეულთა ნიჭი ნაბოძები ჰქონდა განუბით,
მოსახდენსა და მოსალოდნელს გრძნობდა, მისნობდა,
ათასჯარ ჯადო ევაილსა და ბალახს იცნობდა
და მცენარეთა უსიტყვობის იყო გამგები;
უცხო წამლების შემხადებას მათგან სწავლობდა
და ამ წამლებით ფრინველსა და ნადირს სწამლობდა.

ამბობენ, თითქოს მარებისგან ვადანამალი,
თვით უკვდავების წყაროს წელისგან სამეზის ნახადი,
მარადიული სიემწვილის ჰქონდა წამალი
და არ ჰკნებოდა იგი ვარდი კალმით ნახატი.
ეს რომ შეიტყო, ძლიერ გაწერა მართა ბატონი,
თვით შემოქმედი ქვე-ყანის და ხე-ცის კამარის,
კაცთა და ღმერთთა მბრძანებელი მამა გამარი,
მოიხმო ციცა, განმკეპელი ცის კაბადონის
და დაარიაგ დედოფალი იგი ცის მარი,
რომ მედეასთვის მოეკლინა ავი სიზმარი.

და მოხდა კიდევ ისე, როგორც თავად გამარს ენება;
დღემ მიმდინარემ, როცა მკრთალად იწეო თენება,
ცეცხლოვან ცეკვით გადალღილი, გადაქანცული,
ძილად მიიქცა მშენიერი იგი ქალწული
და ცისა მარმა განიკითხა სული მძინარის;
თავხარდამცემი მოუვლინა ბედგრულს სიზმარი; —
ამღვრეულიყო კალაპოტი ფაზის მდინარის;
შივ იწვა კველი სახარელი და საზიხლარი;

ქერცმევერცხლილი სპილენძისგან გაჭედის ჰვავდა;
იწვა და ციდან ჩამოცვენილ ვარსკვლავებს ნთქავდა.

დაბნარულ ზურგზე ესა უცხო ფრინველთა ვუნდი,
მათ ფრთების ტლამუნს სამხიელი გრივალი ახლდა;
წამოშალნენ, წინ გაიგდეს დამფრთხალი ხუნდი,
კამარა შეკრეს და აღმოჩნდნენ ელვისა სახლთან.
სტუმრებს მედეა შეეკება წრფელი ღიმილით;
სუფრა გაუწეო საკადრისი, მოისხა გვერდით;
ფრთათეთრმა ქელამ დაუკორტნა ალერსით მკერდი
და მეფის ასულს გაბრუნებულს ჟივილ-ნივილით,
გული მოსტაცა; ქალწულმა კი სანაცვლოდ გულის,
მიიღო ხვეება და უგულა ალერსი ქელის.

ბანი ლამობდა, რომ ლამუნის გამოქცა
მზის ნაბოძები ოქროს კოჭი ქალის მამისთვის;
და როცა ხვევით ქალს ძალ-ღონე გამოეცადა,
სამაგიეროდ სიევარულის ზირველ ღამისთვის
კიდევ უოველი აღუსრულა, რასაც დაჰპირდა;
არ შეეშინდა განრისხებულ მამის მუქარის
და უცხო ფრინველს მისცა კოჭი მზის ნახუქარი;
თვითონაც ვაჰვავა, გადაფრინდნენ უმაღ ნაპირთან,
სადაც ევარა ფაეტონტის ძვლები ბზინვარე
და იწვა მღვრე მდინარეში კველი მძვინვარე.

ფრთათა შრიალმა ვაღვიძა, ალბათ, წყეული,
წვალზე შეირხა, სინარულით მხვდა მოსულებს,
შემდეგ, ზღვისკენ შემობრუნდა მთელი სხეულით
და თვალწინ ჰონტო ვადეშალათ უცხოთმოძულე.
მთვარის შუქს ვაჰვავა, ვასრიალდა წელის ხედაპირზე,
მკრთალი ნათელი არემარეს მოჭფინა შხევად
და დაედევნა გამოღმა და ვაღმა ნაპირზე
ვაბოროტებულ მღვართა, თუ მწევართა ეფა.
ცა — აიეტის რისხვისგან ქუხდა, ელაგდა,
და ზღვა შფოთავდა, მედეაზე მეტად ღელავდა.

სულშემრწუნებულს ვაღვიძა დედოფალს გრძნეულს,
ვაიხმორა და სარკმელიდან სივრცეს ვახედა,
დიდხანს ეტება შემინებულს, ნათელით ძლეულს
ღამეს, ხეების ჩერობეჭემ რომ ცანცანებდა.
და შეიცხადა ნუთუ ვახდა! ნუთუ თენდება!
მზე მობრძანდება. დახეთ მთიებს რაროგ ციალებს,
ჰა, ირიქრაჰა, ალბათ, მალე კიდევ იალებს
და სანთლის მთვარე მთებში ნისლად ჩაიღვენთება.
მოხუცი მნათეც ვაღვიძებს თავის ეალიონს,
რომ შეუერთოს ბინდისფერი კვამლი ალიონს.

მამუკა სალუქვაძე

...შურსა და ცილზე აგაღლებული...

ქართული დრამატურგიის საუკეთესო ქმნილებად მი-
მაჩნია „დავით აღმაშენებელი“. ფილოსოფიური სიღრმით
განზოგადებულ ყოფიერებაში იკითხება მაღალი ზნეო-
ბრივი იდეალები.

ზნეობრივი სიმტკიცე არის ერის არსებობის უპირვე-
ლესი ძალა! – ეს იყო დედააზრი სპექტაკლისა და ამ აზრით
იყო გამსჭვალული ყველა კომპონენტი. სპექტაკლის ძი-
რითადი კომპონენტი, რა თქმა უნდა, მსახიობის და ამ
მხრივ ბედმა გაგვიღიმა, როლები კარგად განაწილდა:
დავით აღმაშენებელი – სერგო ზაქარიაძე, კათალიკოსი
– შალვა ლამბაშიძე, ჭყონდიდელი – გიორგი შავგულიძე,
მზეთვალა – ვერიკო ანჯაფარიძე, გვარანდუხტი – ნატო
ვარჩხაძე. გუდარეხვაი – ვასო გოძიაშვილი.

ამ ლეგენდად ქვეული მსახიობების გარეშე წარმატე-
ბას ვერ მივალწვედი. წარმატება კი ნამდვილად დიდი იყო.
ვერ დავმაღავ გულისხმას, – არაჩვეულებრივი სანახაო-
ბით ბრწყინავდა სცენა, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვით
მხატვრებს იოსებ სუმბათაშვილსა და ფარნაოზ ლაპიაშ-
ვილს. მუდმივი ოვალური დაზგა, მაღალმხატვრული ღირ-
სების ფერწერული ცისა და ფრესკის ფონები, ბიზანტიუ-
რი სტილის კოსტიუმები და ლაკონიური მიზანსცენები
მონუმენტურ იერს აძლევდა სპექტაკლს. ლევან გოთუას
პიესამ ამ დადგმით სავსებით შესატყვისი ხორცშესხმა
ჰპოვა. ეს სპექტაკლი არ იყო დროის გარკვეული მო-
ნაკვეთის კუთვნილება, ეს იყო ჭეშმარიტი ხელოვნების
ნაწარმოები, რომელიც ყოველი დროისთვის შეინარჩუ-
ნებდა თავის სიახლეს. ერთი სიტყვით, ლევან გოთუას
„დავით აღმაშენებელი“ ქართული დრამატურგიის საუკე-
თესო ქმნილებად მიმაჩნია, – ბრძანა მან დასასრულს.


იმ დღეს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლე-
ვან გოთუას ხსოვნის საღამო გაიმართა, რომელიც გახსნა
მრავალ საქვეყნო საქმეთა მოთავემ, ბიბლიოთეკის დი-
რექტორმა ბ-ნმა აკაკი ძიძიგურმა. მწერლის ცხოვრებასა
და შემოქმედებაზე საინტერესოდ ისაუბრა ბ-ნმა ელგუჯა
მალრაძემ. საზოგადოებას მიესალმა „მემორიალის“ პრე-
ზიდენტი, აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე. ლევან გოთუ-
ასთან ჩრდილოეთის საკონცენტრაციო ბანაკში გატარე-
ბული დღეები გაიხსენა პოეტმა შალვა მჭედლიშვილმა.
მოგონებებით გამოვიდნენ თინათინ ელბაქიძე, დოდო
ჭიჭინაძე, ივანე ჯაფარიძე და სხვ. საღამოს ესწრებოდნენ
ლევან გოთუას მეუღლე ციცო ალხაზიშვილი – გოთუა,
ქალიშვილი – ლელა გოთუა, ოჯახის წევრები და შთა-
მომავლები. შეხვედრის დასასრულს ქალბატონ დოდოს
მივვახლე და ვთხოვე, გაზეთისათვის წერილი მოემზადე-
ბინა. იუარა. ძვირფასო ქ-ნო დოდო, თქვენმა გამოსვლამ
შემძრა. ჩემთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო, რომ
ბრძანეთ: „ნუთუ, ასეთი დიდი პიროვნება და ერის შვილი
იქ არ უნდა განისვენებდეს, სადაც მისი ადგილია?“ ეს
არც ერთ პოეტს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს არ „გა-
მოუმეტებია“. ამ წერილს ბატონი ლევანის 90 წლისთავი-
სადმი მიძღვნილი გაზეთისათვის ვამზადებ. გთხოვთ, ნუ
გამაწილებთ-მეთქი. კარგით, ხვალ დამირეკეთ. მეორე
დღეს კიროვის ქუჩაზე სახელმწიფო ბანკის წინ შევხვდი.
ხელნაწერი გადმომცა. ხელზე ვეამბორე. მის ხელნაწერს
კი, როგორც ძვირფას რელიქვიას, სასოებით ვინახავ.

ბატონი ლევან გოთუა

დიდი ქართველი პროზაიკოსი, დრამატურგი და საზო-
გადო მოღვაწე ლევან გოთუა ფიზიკურადაც და სულიერ-
ადაც გაუტყეხელი პიროვნება გახლდათ. მან ოც წელზე
მეტი გაატარა პოლიტპატიმართა ბანაკებში, მაგრამ არ
გალიზიანებულა, ცხოვრებაზე ხელი არ ჩაუქნევია და ბო-
ლომდე დარჩა თავისი მრწამსისა და იდეალების ერთგუ-
ლი. ლევან გოთუა არის სინმინდის, კეთილშობილებისა
და ამაღლებული სულის ადამიანის ნიმუში. არის-მეთქი
– იმიტომ ვწერ, რომ ასეთი პიროვნებები ამა ცხოვრები-
დან ნასვლის შემდეგაც მუდამ ჩვენთან არიან. ქართველ
კაცს რამ დაავინყოს „გმირთა ვარამის“ ავტორი? „უგზო
ქარავანი“, „ყინვისის ანგელოსი“, „კრწანისის სევდა“...
ამ ბრწყინვალე მოთხრობების ციკლს მსოფლიოს უდიდე-
სი პროზაიკოსებიც სიამოვნებით მოაწერდნენ თავიანთ
გვარს... და ეს ყველაფერი იწერებოდა სუსხიანი ჩრდი-
ლოეთის საკონცენტრაციო ბანაკებში, საიდანაც ნაწილ-
ნაწილ, ინკოგნიტოდ იგზავნებოდა ოჯახში, თავის საყვარ-
ელ დებთან.

ბატონი ლევანის პიესები – „უძლველნი“, „დავით აღ-
მაშენებელი“, „მეფე ერეკლე“ წლების მანძილზე იდგმებო-
და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. ბატონი
ვახტანგ ტაბლიაშვილის რეჟისორობით შექმნილ ამ სპე-
ქტაკლებს უდიდესი წარმატება ჰქონდა! თორმეტი წელი
ვთამაშობდი ანა ბატონიშვილს „მეფე ერეკლეში“, და არ
მახსოვს, ანშლავი არ ყოფილიყო. ეს იყო ჩემი ცხოვრების
უბედნიერესი წლები.

როდესაც სპექტაკლზე ბატონი ლევანი გვესწრებოდა
– მისი ისეთი დიდი რიდი გვექონდა, რომ ყველანი ძლიერ
ვვლავდით. პრემიერის შემდეგ, ბატონმა ლევანმა თავი-



ლევან გოთუა

სი წიგნი მაჩუქა ავტოგრაფით – „ქართული სცენის ვარსკვლავს, მზეთუნახავ დოდო ჭიჭინაძეს, მადლიერებით – ლევან გოთუა“. ამ წიგნს სათუთად ვინახავ.

რამდენჯერ დავფიქრებულვარ ამ დიდებული ქართველის ბედზე, რომელმაც ამდენი საშინელი ტანჯვა გამოიარა და ბოლომდე დარჩა სუფთა, ამაღლებული სულის ადამიანად. ახლაც მახსოვს მისი კეთილი ღიმილი... გასაოცარია, იმ ჯოჯოხეთიდან დაბრუნებული, უკვე არც ისე ახალგაზრდა კაცს, როგორღა შემორჩა ისეთი ჭაბუკური შემართება – შეექმნა ლამაზი ოჯახი და მთელი ენერჯით განეგრძო ერის სამსახური!

„გმირთა ვარამი“ ხომ ის წიგნია, ჩვენი ბედკრული სამშობლოს ბედზე მლოცველი კაცის გმინვა რომ მოისმის...

ჩემო ძვირფასო ქართველებო! ნუთუ ასეთი დიდი პიროვნება და ერისშვილი იქ არ უნდა განისვენებდეს, სადაც მისი ადგილია?

ბედნიერი ვარ, რომ ასეთ დიდ ქართველ მამულში ვილთან ვთანამშრომლობდი, და მან მადლობის ღიმილი მაჩუქა...

**დოდო ჭიჭინაძე
საქართველოს სახალხო არტისტი**

ლევან ნამიბული

გიორგი შათირიშვილმა მრავალ საქვეყნო საქმეს დაუდო სათავე. განსაკუთრებით აღსანიშნავია „შოთაობა“, რომელიც სისტემატურად ეწყობოდა იყალთოს აკადემიის ნაფუძვარზე. ვის არ ნახავდით აქ – გამოჩენილ მეცნიერებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს.

ვიცოდი მისი განსაკუთრებული პატივისცემა ბატონი ლევანის პიროვნებისადმი.

ლევან გოთუას შესახებ გაზეთზე მუშაობისას ბ-ნ გიორგის წერილის მომზადება ვთხოვე. ორი დღის შემდეგ, ბუკიას ბალთან შევხვდით. ეს მოგონება გადმომცა.

* * *

ამ პატარა წერილ-გახსენების სათაური შემთხვევით არ ამირჩევია. იგი სწორედ რომ მიესადაგება საქართველოსათვის მრავალ ჭირმნახველ, მისი კეთილდღეობისათვის დღენიდად დაფიქრებულ და მზრუნველ, ხმალამონვდილ მებრძოლს ლევან გოთუას.

ყოველივე ეს იგრძნობოდა არა მარტო მის ბრწყინვალე ნაწარმოებებში, არამედ საერთოდ, – მის გარეგნობაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, მოქმედებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, სიტყვა-პასუხში.

დიახ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი სანთლად ენთო თავის საფიცარ სამშობლოს და ის კანდელი დღესაც ანათებს, მომავალში უფრო გაჩრდილდებდა!

შორიდან ვიცნობდი გადმოცემებით, მისი შესანიშნავი მხატვრული ქმნილებებით, ლიტერატურული წერილებით. ვეთაყვანებოდი და ოცნებად მქონდა ქცეული მასთან შეხვედრა.

პირველად ეს შეხვედრა 1958 წელს მოხდა.

იმ დროს მე და ჩემი მეგობრები მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დავესწარით სპექტაკლს – „სამსახეობა რაინდისა“. შინაარსიანი, საინტერესო და რთული სპექტაკლი გახლდათ. ამიტომ, გადავწყვიტეთ ინსტიტუტში მისი გარჩევა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის თანდასწრებით. პიესის ავტორიც ხომ უნდა მოგვეჩვენა!

და აი, ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა: ინსტიტუტელ მეგობართან ერთად თბილისში, ბინაზე (ყოფილი

ენგელის ქუჩაზე) ვესტუმრეთ საყვარელ მწერალს. ბატონი ლევანი ახალი დაბრუნებული იყო გადასახლებიდან. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ბრგე, ვაჟკაცური იერი, გადაღლილი, ტანჯული სახე... ჩვენთვის, დაუპატიუებელი სტუმრებისათვის ადვილი შესამჩნევი და გასაგები გახლდათ მასპინძლის ერთგვარი ეჭვის თვალიც.

გავეცანით.

მოგვენდო.

გავგეხსნა.

გვიყვებოდა წამებით განვლილ ცხოვრების გზაზე, შორეულ ჩრდილოეთში განვლილ დღეებზე, თუ როგორ ახერხებდა იქ, ჯოჯოხეთში სამშობლოზე ფიქრსა და ოცნებას... „ვნერდი. ვნერდი, რომ არ გადავჩვეულიყავი, რომ არ დავჩლუნგებულიყავი. ვნერდი კედელზე, ქალღმერთის ნაგლეჯზე. შემდეგ მოვახერხე და ჩემი ნაწერები ნაწილ-ნაწილ საქართველოში გადმოვგზავნე. აქ ავკრიბე და მოთხრობებზე ვაქციე. „გმირთა ვარამიც“ აქ დავასრულე“...

ჩვენი მისვლის ძირითადი მიზანი ავუხსენით: თქვენი „სამსახეობა რაინდისა“ გვინდა გავარჩიოთო. – „სამსახეობა რაინდისა“ თქვენ გინდათ გავარჩიოთ? მერე ვის შეუძლია, ვინ გაარჩევს ჩემს პიესას? ჩემი თანაკურსელი ენგურ კირთაძე წარვუდგინე.

მესამე კურსის სტუდენტები გახლდით. თანაც, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები... შევამჩნიეთ, გაუკვირდა, თანაც ჩვენმა ასეთმა გაბედულმა ნაბიჯმა ძალიან დააინტერესა.

გარჩევა სტუდენტულ კამპიაში გაიმართა.

გარჩევა-შეხვედრით აღფრთოვანებულები დარჩნენ ბატონი ლევანი და მასთან ერთად – ვერიკო ანჯაფარიძე, ედიშერ მაღალაშვილი, დოდო ჭიჭინაძე, გიორგი ტატიშვილი... განსაკუთრებით მოწონება ხვდა ჩემი მეგობრის ენგურ კირთაძის მოხსენებას, რომლის ერთი ეგზემპლარი მარჯანიშვილელებმა თეატრის მუზეუმისათვის წაიღეს. მის ავტორს კი თანამშრომლობა შესთავაზა ცნობილმა ხელოვნებამცოდნემ ნოდარ გურაბანიძემ. იმ დღით გახარებულმა ლევან გოთუამ, მარჯანიშვილის თეატრში თავისი მუდმივი ბილეთით დაგვასაჩუქრა.

მას შემდეგ ბატონ ლევანს არაერთხელ შეხვედრივარ: მის აგარაკზე ახლობლებთან ერთად, გაგრამი (არქივში სათუთად ვინახავ ჩემს მიერ გადაღებულ ფოტოებს მის დასთან, ჩვენს საამაყო ქალბატონ თამართან ერთად), ალაზანზე, თელავში, თავშესაკრებ ადგილებზე, სახალხო დღესასწაულებზე. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი მონაწილეობა იყალთოში „შოთაობაზე“ – თავის სტიქიაში იყო, როცა ძველი აკადემიის ნაფუძვარზე ლაპარაკობდა ჩვენს ისტორიაზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, ძველთა დაცვაზე, პატრიოტიზმზე, ქართველი კაცის ფენომენზე... შეიძლება ითქვას, ბატონი ლევანი თავად გახლდათ მის ნაწარმოებთა დადებითი გმირების ცოცხალი განსახიერება; მშობლიური ერის ბედზე მუდამყამ ჩაფიქრებული, უკომპრომისო, გულახდილი, ტკბილმოუბარი...

უკმარისობის გრძნობა დამრჩა იმ გარდასულ დღეთა, დაუვიწყარ შეხვედრებისა, – როგორ მინდოდა დიდხანს, კიდევ დიდხანს ვყოფილიყავ მასთან ახლოს; იგი ხომ თავისი სამაგალითო ცხოვრებით გამორჩეული, ნაღდი ქართველი, ერისკაცი გახლდათ.

**გიორგი შათირიშვილი
იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის
სახალხო აკადემიის რექტორი**

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ნიკოფსიით დარუბანდაქის...



დარიალის კარი

ქრისტეს შობიდან I ათასწლეულის დასასრულს, ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდებდა: ტერმინი „ქართველი“ სცილდება ვიწრო ტომობრივ ჩარჩოებს („ქართველი“ – ქართლის მკვიდრი) და ზოგადეროვნულ მნიშვნელობას იძენს. ამიერიდან „ნათესავით ქართველია“ ჩვენი ისტორიული მიწა-წყლის ნებისმიერი კუთხის ბინადარი: კახი, ჰერი, დვალი, აფხაზი, სვანი, მეგრელი, ტაოელი... „ქართველი“ მხოლოდ ეთნიკურ წარმომავლობას როდი გულისხმობს; ის შეიძლება იყოს ამა თუ იმ ერის შვილი, ვინც ქართული ეკლესიის წიაღშია შემოსული, ქართულ კულტურულ და სახელმწიფო ასპარეზზე მოღვაწეობს.

„ქართველთა“ კულტურულ-პოლიტიკურ ერთობას ახალი ქვეყანა აქვს – „საქართველო“. საქართველოა ქართლი, ეგრის-აფხაზეთი, კახეთ-ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, კავკასიის მთიანეთი, შირვანისა და სომხეთის მოსაზღვრე მხარეები – ანუ ის სივრცე, სადაც ქართველთა პოლიტიკური უფლებები ხორციელდება, სადაც ქართველნი ერთი კულტურული და სოციალური ცხოვრებით ცხოვრობენ.

ტერმინი „საქართველო“ IX-X საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო. X-XI საუკუნეთა მიჯნაზე წარმოქმნილი პოლიტიკური ერთობა საქართველო ბაგრატიონთა უზენაესი ხელისუფლების ქვეშ, ქართული მიწების უდიდეს ნაწილს აერთიანებდა. თანამედროვეთ კარგად ესმით, რომ საქართველოს გამთლიანებით, მყარ საფუძველს იძენდა კავკასიური სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივა. სუმბატ დავითის ძე, XI საუკუნის თვალსაჩინო იდეოლოგი და ბაგრატიონთა გვარის მეისტორიე, ნიშანდობლივად ახასიათებს ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (978-1014 წწ.) მოღვაწეობას: „დაიპყრა ყოველი კავკასია თვთმპყრობელობითა ჯიქეთითგან, ვიდრე გურგენამდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჯელმწიფებითა ნებურად განაგებდა. მეფე სპარსთა თვს მეგობრად თვსთასა და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე“.

ამ იდეას ხორცი დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) შეასხა. დავითის მიერ შექმნილმა კავკასიურმა სახელმწიფომ სამასი წელი იარსება. ქართული თუ კავკასიური მიწების გაერთიანება არ ყოფილა მხოლოდ აღმავალი პროცესი. ქვეყნების შეკრება და დაკარგვა, ერთიანობის რღვევა და აღდგენა, დაპირისპირება და თანამშრომლობა მახლობელი აღმოსავლეთის იმპერიებიდან. ეს პროცესები თან სდევდა ერთიანი ქართული მონარქიის აღმშენებლობას. ამიტომაც იტყოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები: საქარ-

თველო „ჩემითა და თქუენითა“, ანუ ყოველი ქართველის „ღვანლითა“ „მოგებული“ მამული და სამეფო იყო.

ჩრდილო-დასავლეთი საზღვრები


საქართველოს, როგორც აფხაზეთა სამეფოს მემკვიდრის, ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვარს ნიკოფსი წარმოადგენდა. ეს სანაპირო კუთხე, თანამედროვეთა მიერ, ხან ჯიქეთად, ხან აფხაზეთად მოიხსენიებოდა. „ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“, – ასე მიმართავდა გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პატრიარქს 1057 წელს.

დავით აღმაშენებელიდან მოკიდებული, ერთიანი ქართული მონარქიის განფენილობის აღსანიშნავად, მკვიდრდება ისტორიულ-გეოგრაფიული ფორმულა „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურამდე“ ან „ნიკოფსით დარუბანდამდის“.

ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე, საქართველოს სამეფოს გავლენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტამანის ნახევარკუნძულამდეც აღწევდა. ოფიციალურ მიმონერაში მახლობელი აღმოსავლეთის სულთნები ერთიანი საქართველოს მეფეებს ასე მიმართავდნენ: „აბხაზის, შაქის, ალანისა და რუსის მეფეთა-მეფე“, „აბხაზის მეფეთა-მეფე, რუმისა და რუსის მარზბანი“, ან კიდევ „გურჯის, აბხაზის, ალანის, შაქისა და ხაზარის მეფეთა-მეფე“. ბაგრატიონთა ტიტულატურაში დამონმებული „რუსი“/ „ხაზარი“ აღნიშნავდა ტმუტარაკანის რუსულ სამთავროს, რომელიც „ალანთან“ (ჩრდილოკავკასიელ ოსებთან) ერთად ქართველ გვირგვინოსნებს ყმობდა. ამ კონტექსტშია განსახილველი ერთი გვიანდელი გადმოცემა, რომელიც ფარსადან გორგიჯანიძემ (1626-1696 წწ.) შემოგვინახა, თითქოს XIII ს-ის შუახანებში სამეფოს საზღვრები კავამდე ვრცელდებოდა.

პირველად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს XI ს-ის 30-იან წლებში ბიზანტიელებმა შეუტყეს. მათ ისარგებლეს ბაგრატიონთა სახლში არსებული შიდადინასტიური დაპირისპირებით, მიიმხრეს ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) ნახევარძმა დემეტრე, დედამისი აღდე და დაიკავეს ანაკოფია, „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“. ოკუ-





პირეული ტერიტორიები ბიზანტიურ ადმინისტრაციასა და ეკლესიას დაექვემდებარა. ბერძნების ცდა, აფხაზეთი მთლიანად მოენცივებინათ საქართველოსგან, მარცხით დამთავრდა. მათი ბატონობა ლოკალურად როგორც ეპიგრაფიკული ძეგლები მოწმობს, აფხაზეთის უდიდეს ნაწილზე, საქართველოს მეფის (და ეკლესიის) იურისდიქცია ვრცელდებოდა. XI ს-ის II ნახევარში გიორგი II-მ (1072-1089 წწ.) დაიბრუნა ანაკოფიის ციხე.

მონღოლთა ბატონობამ კავკასიაში საქართველოს პოლიტიკური რუკა შეცვალა, – ერთიანი მონარქიის სამ ნაწილად დაშლას (ლიხთამერისა და ლიხთიმერის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ) ტერიტორიების დაკარგვაც მოჰყვა. XIV საუკუნის დასაწყისის იტალიურ პორტოლანებზე, მაგალითად, პიეტრო ვესკონტეს 1318 წლის საზღვაო რუკაზე, cacara-ს (გაგრის) ჩრდილო-დასავლეთით დატანილია Augoxia (აფხაზეთი), მას მისდევს Guba (ვარიაციული ფორმები: chuba, cavo da chubba) დღევანდელი ყოობის კონცხი ვარდანეს დაბლობთან, შემდეგ ნაჩვენებია alba zeqa (თეთრი ანუ თავისუფალი ჯიქები), zurzuchi (ზურზუხის ნავსადგური, დღევანდელი ტუაფსე), maura zeqa (შავი, ანუ არათავისუფალი ჯიქები), შავი ჯიქები ოქროს ურდოს ემორჩილებოდნენ, შესაბამისად, ამ მონღოლური იმპერიის საზღვარიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ტუაფსეს მახლობლად გადიოდა. იტალიელმა კარტოგრაფებმა ზურზუხის ნავსადგურსა და აფხაზეთს შორის, თავისუფალი ჯიქები გამოყვეს. ისინი თუ მართლაც დამოუკიდებელი იყვნენ, მაშინ საქართველოს სამეფოს დაუკარგავს მნიშვნელოვანი ტერიტორია მდ. ნეგეფსუხოდან მდ. შახმდე.

გიორგი V-მ (1314/1318-1346 წწ.) დაიმორჩილა დასავლეთ საქართველოს გამდგარი მთავრები და აღადგინა სახელმწიფო საზღვარი ნიკოფსიზე. ბრწყინვალე მეფის ძალისხმევას ხანმოკლე შედეგი ჰქონდა. საქართველოს ხელისუფალნი თანდათან კარგავდნენ ძალაუფლებას ადიღეველ ტომთა (ჯიქთა) მსხვილ გაერთიანებებზე. ხო-ბის მონასტრის წარწერაში ვამეყ დადიანი (1384-1396 წწ.) აღნიშნავს, რომ „მოუჭდა ჯიქეთს ურწმუნობისა და ორგულობისათჳს... და სძლო და შეურაცხ და უჭმარ ქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღალნი, ყოველნივე ძალითა მოირჭუნა. მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მოუვალი მოარბივნა“. ციტირებული ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ ჯიქები გამოსულან ოდიშის მთავრის მორჩილებიდან. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ჯიქთა სამოქმედო არეალი გაგრამდე აღწევდა.

ამ ცნობას ეხმაურება ადიღეველთა გადმოცემები. XVI-ის I მესამედში ადიღეველთა ერთ-ერთმა მთავარმა,

ინალმა, ქედი მოახრევირა მეზობლებს, დასაჯა აბაზების აჯანყებული თავკაცები, მოახრა აბაზების მინა-წყალი და ზავი შეკრა დამორჩილებულ აფხაზ ტომებთან მდ. ძი-ბზე, ანუ ბზიფზე, კონტექსტის მიხედვით, ბზიფი სასაზღვრო მდინარეა. ინალის საფლავი ბზიფზე კი ამ საზღვარს გარკვეულ საკრალურობას სძენდა.

ჩრდილოეთის საზღვრები

ჩრდილოეთის საზღვარიც იმ ხაზს მიუყვებოდა, რომელიც VIII-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა. მემკვიდრეობითობა კავკასიონის აღმოსავლურ და ევროპულ სახელწოდებებშიც აისახა: „ქართველთა მთა“ (ჰოდუდ ალ-ალემი, 982წ.), „გურჯისტანის/საქართველოს მთები“ (ჰამდალაჰ ყაზვინი, 1340წ.), „გეორგიანული მთები“ (რუბრუკვისი, 1253წ.). ევროპულ რუკებზე ქართველები კავკასიონის უმთავრეს გარდმოსასვლელთა მცველებადაც იყვნენ გამოსახულნი.

XI-XIV სს. კულტურულ-პოლიტიკური კავშირები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან გააქტიურდა. განსაკუთრებული ყურადღება კვლავ კავკასიონის ზეკარებს მიექცა. 1118 წელს დავით აღმაშენებელმა „აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიისა მთისათანი, და შექმნა გზაჲ მშუდობისაჲ“... დავითისა და მისი მემკვიდრეების მოღვაწეობის შედეგად, საზღვარმა თერგის ხეობაში ჯარიახ-ჩიმის მიდამოებში გადაინია. ამიერ და იმიერკავკასიის დამაკავშირებელი ყველაზე ვიწრო და სტრატეგიული მონაკვეთი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოში შემოვიდა. დარიალში განახლდა ძველი და აიგო ახალი სიმაგრეები: გველეთი, დავითის ციხე (დღევ. თამარის ანუ დარიალის ციხე), დარიალი (დღევ. ლარსი), მეფეთა ნასასახლევი (ჯარიახი), „მეფეთა ციხეები“ ოსების მინა-წყალზეც აღიმართა. შეიქმნა ერთიანი საფორტიფიკაციო კომპლექსი, რომელშიც ცენტრალური ადგილი დავითის ციხეს ეკავა. ეს უკანასკნელი თუ საქართველოში შემომყვან გზას კეტავდა, ნასასახლევი მეფეთა ოსებზე პოლიტიკური და კულტურული ბატონობის გასაავრცელებლად გამოიყენებოდა: „ოდეს გაილაშქრა (მეფენი –ავტ.) ოვსეთად, მუნ დადგინა“, – აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი. დარიალის ციხესიმაგრეთა სისტემა იმდენად კარგად გააზრებული და შთამბეჭდავი იყო, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ, ციხეთა ნანგრევებსაც კი აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი.

ცენტრალური ხელისუფლება არც დვალეთის კარებს იგინებდა. არდონის ხეობაში, დროთა განმავლობაში, კასრისკარის კედლებს შორის, სივრცე ფლეთილი ქვითა და თიხით ამოივსო. შეიქმნა თავდაცვითი მონოლითი, რომლის სისქემ 12 მეტრს მიაღწია. ასეთი სიმძლავრის კედელი, კავკასიაში სხვაგან არ გვხვდება. ის აღმართული იყო ორი, სრულიად განსხვავებული სოციალური და კულტურული ტრადიციების მატარებელი, საზოგადოების საზღვარზე, XIV ს-ის ბოლოს და XV ს-ის დასაწყისში დვალეთს, ისევე როგორც ლიახვის ხეობის სათავეებს, თავხელიძე-მაჩაბელთა თავადური გვარი ფლობდა. 1432 წელს მოღარეთუხუცესმა ხელამ თირის მონასტერს შესწირა „მადნარს დვალეთს სოფელი კოშკა, რომლისაცა ბეგარა უნდა აიღებოდეს მონასტრისათვის; უღელე მათით ბეგართ, რაც დვალეთს ბეგარა სდებია, უღელეცა იმავე წესითა...“

სომეხი ისტორიკოსი თოვმა მენოფეცი (1376/79-1446 წწ.) ნერს, რომ „ქართული მხარე“ (საქართველო) შედგებოდა რვა „ენისგან“ (ტომისგან): „დრალი (დვალი), ოსე-

დი (ოსეთი), იმერელი, მეგრელი, აფხაზი, სონი (სვანი), ქართველი (აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი), მესხი“. უცხოელ ავტორს ქედს გადალმა მდებარე დვალეთიც და ყმადნაფიცი ოსეთიც საქართველოს ნაწილად წარმოედგინა.

ჩრდილოეთ საზღვარი, მართალია, სტაბილურობით გამოირჩეოდა, მაგრამ დროდადრო მთიელები (ფხოვნი, დიდონი) ცდილობდნენ ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან გამოსვლას. სამეფო კარი სასწრაფო ღონისძიებებს მიმართავდა და განკერძოების ყველა მცდელობას ძირშივე სპობდა. ერთი ასეთი ჯანყის შესახებ, ცნობა სომეხმა ისტორიკოსმა შემოგვინახა: „მათ უკუე ჟამთა იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდთა... მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოჭვეთა, ჯადელთა, ცხავატელთა, ქართალთა, ერწოთიანელთა. მისცნა ივანეს ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა. ხოლო ივანე გონიერად ყო: აღვიდა მთასა ჯადისასა და წარვლო წუერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდთასა, რომელი არავის ექმნა არცა პირველ. არცა შემდგომად, რამეთუ ერთ კერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთკერძო – დიდოეთი და ფხოეთი. ცნეს რა მისლვა ათაბაგისა, მოვიდეს ძლუენითა მეფენი დურძუკეთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერცა...“

აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთის, კერძოდ, სამხრეთდაღესტნური თემების ინტეგრაციის ხარისხს ქართულ სახელმწიფოში სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, განსაზღვრავდა. იოჰან გიულდენშტედტი (XVIII ს-ის II ნახევრის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური) ანწუხის (ხუნძეთის სამხრეთი ნაწილი ავარიის ყოისუს სათავეებში) შესახებ წერს: „ეს ლეკური მხარეც ძველად ეკუთვნოდა კახეთს და ახლაც ქართლის მეფესთან კეთილ დამოკიდებულებაში იყო. ისინი ზამთარში ცხვარს აძოვებდნენ კახეთის მიწებზე და ვაჭრობდნენ თელავში და თბილისში“.

არანაკლებ როლს კულტურული კავშირთაერთობები თამაშობდა. სამხრეთ დაღესტანში ქართულ ეკლესიას

დაქვემდებარებული ღუნძთა (ხინძეთის) საკათალიკოსო მოქმედებდა, ხოლო ანწუხში საეპისკოპოსო არსებობდა. ქართული ქრისტიანობა ქართული ღვთისმსახურების, ქართული ენისა და დამწერლობის, ქართული კულტურის გავრცელებას ნიშნავდა. არაბ ავტორთა ცნობები, ქართულ-ღუნძური ბილინგვური ძეგლები, ბახტიმორ სარირის (დაღესტნის) მეფის ქართულწარწერიანი ოქრომჭედლობის ნიმუშები და სხვ. ამ ურთიერთობათა თვალნათელი მოწმობაა.

ეკონომიკა და კულტურა ყოველთვის არ იყო საკმარისი პირობა არაქართული ეთნიკური ჯგუფების შემოსამტკიცებლად, მით უფრო, არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარებისას, მონღოლთა ბატონობის ხანაში, ოქროს ურდოს და საილხანოს სამხედრო დაპირისპირებამ, ერთი მხრივ, მოაოხრა და დაასუსტა საქართველოს სამეფო, მეორე მხრივ, დააჩქარა დაღესტნურ ტომთა კონსოლიდაცია და ისლამის გავრცელება. დაღესტნური ქრონიკების თანახმად, აღზევებულმა შამხალებმა დაღესტნის მრავალი თემი დაიპყრეს, მათ შორის, ხუნზახი, ჭურმუთი და ნახური. მატიანეთა თხრობის ქრონოლოგია აღრეულია – მასში XIII-XV სს. ამბები გადახლართული. ამიტომ ჭირს იმის დადგენა, როდის დაიქვემდებარეს მაჰმადიანმა დაღესტნელმა ბელადებმა საქართველოს სამეფოში შემავალი მხარეები. იმავე ქრონიკებში შამხალთა მონიწააღმდეგედ დასახელებულია ვინმე ქავთარ-შაჰი, რომელიც რეალურად შეიძლება ყოფილიყო ჰერეთის ან შაქის მონაპირე ერისთავი. ის სამეფოს მიწებსა და ყმადნაფიც ქვეყნებს იცავდა.

XV საუკუნის ბოლოს საქართველო დაიშალა და კახთა მეფეებმა ქვეყნის მოწმობაზე იწყეს ზრუნვა. მათ წუქეთსა და დიდოეთში მოურავები დანიშნეს. წყაროებში აღარაა ხუნძეთის სამოურავოს ხსენება. გამოდის, რომ ამ დროისთვის ანწუხი საქართველოს სამეფოს უკვე დაკარგული ჰქონდა.

ზაზა აბაშიძე

გაგრძელება მომდევნო ნომერში



კასრისვარი

...და ნუ ოღეს დაივიწყებთ ღაპითს...



დავით IV ბაგრატიონი საქართველოს მოლიანობისა და სიძლიერის სიმბოლოა!..

სამყარო სულ ღიაა ამ პერსონისთვის. თვალი მივაპყროთ არსთა შორის უზენაესს, უპირველეს მეფეს ქართველთა.

მემატიაზე ახალი ჟამის დადგომას მეტაფორულად გამოგვცემს, – ბნელსა უკუნსა შინა იწყოს აღმოცისკრებად მზემან...

დავით აღმაშენებელს უკანასკნელი ნება აუსრულდა, – მეფე-გვირგვინოსანი გელათის ტაძრის კარიბჭესთან დაკრძალეს. დავითმა ქართველ ერს თავმდაბლობისა და სულიერი სიდიადის ძეგლი დაუტოვა...

ფეხი დამადგით – XX საუკუნეში ისმის პოეტ ანა კალანდაძის სიტყვები...

ფეხი დამადგით, ფეხი ყოველმან,
წყალობა პყავით...
საქართველოს ყოვლის მპყრობელმან
ვისურვებ დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...

ისტორიული პიროვნება თანადროულობით უნდა განესაჯოთ.

მთავარსარდალი 16 წლის ასაკში გამეფდა.

1089 წელს, მას შემდეგ, რაც პროგრესულმა მოღვაწეებმა გიორგი II-ს გადადგომა აიძულეს, სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი დავითი IV. დავითის სიჭაბუკეში შერთეს სომეხი ქალი, შეეძინათ უფლისწული დემეტრე. პირველ ცოლზე სხვა ცნობები არ მოიპოვება. მეორე ცოლად მოიყვანა გურანდუხტი, ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული, მეფეს შეეძინა კიდევ ერთი ძე ვახტანგი (ცუა-ტა) და ასულები თამარი, კატაი და თამარ მრწემი.

ისტორიკოს მარიამ ლორთქიფანიძის თქმით, 1089 წელს მამამ დავითს თავისი ხელით დაადგა გვირგვინი. უცნობია,

გიორგი II-მ თავად მიიღო ეს გადაწყვეტილება, თუ აიძულეს. დავითის გამეფების შემდეგ, მან 20 წელი იცოცხლა, მაგრამ სახელმწიფო საქმეებში არ მონაწილეობდა. მიხვდა, ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებას თავს ვერ ართმევდა.

დავით აღმაშენებელს მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად – დანგრეული და აშლილი ქვეყანა, ამონყვეტილი და აყრილ-გახიზნული ქართველობა, მეფემ სწორი პოლიტიკა გაატარა, პირველ რიგში აუცილებელი იყო წესრიგის დამყარება, საერო და საეკლესიო ფეოდალთა ალაგმვა, სახელმწიფოს მმართველობის ცენტრალიზაცია და ჯარის რეორგანიზაცია.

ასეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო მიუტევები,
ღირს მსახურებდი ქართულ მინა-წყალს,
რაი გადარდებს?

გასწიე იგი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე...

ისტორიკოსი როინ მეტრეველი დავით IV-ს გამორჩეულ მეფედ მიიჩნევს, – ეპოქამ, არსებულმა ვითარებამ, პიროვნულმა თვისებებმა განსაზღვრა დავით აღმაშენებლის ადგილი და როლი იმდროინდელ წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. X საუკუნის დასასრულს და XI საუკუნის დასაწყისში ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა. სატახტო ქალაქი იყო ქუთაისი, ეგ.წ. აფხაზთა სამეფო და ქართველთა სამეფო, ანუ ტაო-კლარჯეთი გაერთიანდნენ. ერთიანი საქართველოს პირველი მეფე იყო ბაგრატ III. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, – იმდროინდელი საქართველოს ფარგლები შეზღუდული იყო. როდესაც მეფეებს ქართლის ჭალებში სურდათ სანადიროდ წასვლა, წინასწარ მეთვალყურეებს აგზავნიდნენ.

დავით აღმაშენებელმა გარშემო შემოიკრიბა ერთგული მოღვაწეები, აღსანიშნავია მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი და მეფის მოძღვარი არსენი. მხედართმთა-



ურმისხელის საკათედრო ტაძარი



რუისის საკათედრო ტაძარი

ვარმა მიზნად დაისახა ქართლის თურქებისაგან განმეხდა და ადგილობრივების საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნება.

თუ ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით...
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ქნან ცოდვილთ?!

ისტორიკოსი ნინო ხუნდაძე სამხედრო გმირობებისა და სახელმწიფოს მართვის უნარს, პიროვნულ თვისებებთან ერთად, მეფის განსწავლულობაში ხედავს, – დავით აღმაშენებელი კარგად ფლობდა სპარსულ და არაბულ ენებს, ქართულ საერო და სასულიერო ლიტერატურასთან ერთად, აითვისა ანტიკური და აღმოსავლური ლიტერატურის ძეგლები, იცოდა მართლმადიდებლური, გრიგორიანული და მაჰმადიანური სარწმუნოების ნორმები. პატივისცემით ეპყრობოდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მუსულმანებს. დავითი გატაცებული იყო ასტრონომიით, ისტორიული მწერლობითა და ღვთისმეტყველებით. დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია, მეფე კარგად ერკვეოდა ლიტერატურაში და მუსიკაში. მან **ანდრია კრეტელის** დიდი კანონის ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანი დაინუნა და არსენ ბერს სთხოვა ხელახალი თარგმნა. ხოლო იოანე კათალიკოსს დაავალა, ამ კანონისათვის შეექმნა საგალობელი.

მთავარსარდალმა გაატარა მნიშვნელოვანი სამხედრო რეფორმები. დაიწყო ლაშქრის რეორგანიზაცია, ჯარის სათანადო წვრთნა და დისციპლინის განმტკიცება.

მარიამ ლორთქიფანიძის თქმით, დავითმა თავიდანვე გამოამჟღავნა სახელმწიფოს მართვის უნარი, ქართული ლაშქარი სელჩუკებთან დამარცხებების შემდეგ დემორალიზებული და დეზორგანიზებული იყო. მეფემ მცირე და საშუალო აზნაურების შემადგენლობით შექმნა მცირერიცხოვანი სამხედრო რაზმები, დროდადრო თავს ესხმოდა ქართლში ჩამოსახლებულ სელჩუკებს. ბრძოლებში თავდადებულებს დავით IV საჯაროდ მიმართავდა, ხოლო გულგრილ მეომრებს სადედო ტანისამოსით, ლაშქრის წინ გაატარებდა.

დავით აღმაშენებელმა შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრენი და ჩამოაყალიბა მეფის პირადი გვარდია **მონა-სპა**, რომლის შექმნის მიზანი იყო ფეოდალთაგან დამოუკიდებელი ძლიერი ნაწილის შექმნა. მეფემ ლაშქარი სამ ნაწილად დაჰყო, – პირველი მეფის გვარდია, მონა-სპა, მეორე მეციხოვნეები და მესამე მოლაშქრეები.

დავით აღმაშენებელმა ფეოდალური ლაშქარი გააძლიერა, თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს აუცილებელი იყო ქვეყნის შიგნით მდგომარეობის განმტკიცება და ურჩი ფეოდალების ცენტრალური მმართველობისთვის დაქვემდებარება. ასეთად ითვლებოდა კლდეკარის ბაღვაშთა სახლი, კერძოდ ლიპარიტ IV. 1093 წელს მეფემ ურჩი ფეოდალი შეიპყრო, ლიპარიტმა ცოდვები მოინანია და გაათავისუფლა, თუმცა 1095 წელს ისევ შეიპყრო, ორი წლით პატიმრობის შემდეგ 1097 წელს იგი ბიზანტიაში გააძევა. **ბაგრატიონთა და ბაღვაშთა** დაპირისპირება რამდენიმე საუკუნე მიმდინარეობდა. სახელმწიფოს ცენტრალიზაციის წინააღმდეგ მეზობელ ოჯახს დავით IV-მ თავისი ადგილი მიუჩინა.

1103 წელს გარდაიცვალა ლიპარიტის ძე რატი, დავითმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო – ასე დასრულდა სახლი ბაღვაშთა, სახლი განმამწარებელთა...

დავით IV-ის მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება, ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა და ძლიერი მეფის ერთპიროვნული მმართველობა. საერისთავოების გაუქმებით დაასუსტა ოპოზიცია და გააძლიერა მეფის ხელისუფლება. დავით IV-ის ხელთ უნდა ყოფილიყო თრიალეთი, სადაც გადიოდა უმოკლესი გზა, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს უკავშირდებოდა. თრიალეთს ჰქონდა სამხედრო, სტრატეგიული და ეკონომიკური დანიშნულება. ამ პროვინციისთვის ჯერ აფხაზთა მეფეები, შემდეგ საქართველოს მეფეები გამოუდგებოდა იბრძოდნენ.

როინ მეტრეველის თქმით, მეორე დიდი ფეოდალი იყო ძაგან აბულეთისძე, ეს გვარიც ებრძოდა საქართველოს მეფეებს. დავით აღმაშენებელი შიომღვიმისათვის დაწერილ ანდერძში საუბრობს, – აბულეთისძეები გიორგი II-ის მეფობის დროსაც გვებრძოდნენ. მათი დასჯა გადაწყვიტე, თუმცა არა იყო ნება ჩემი... როგორც ჩანს. დავითი აქტიურად მონაწილეობდა სამეფოს ცხოვრებაში, ერთ-ერთ სახარებაზე გვხვდება მინაწერი – გიორგი II არის მეფეთ მეფე და კესაროსი, ხოლო დავით მეფე არის სევასტოსი. მოგვიანებით დავითმა ბიზანტიური ტიტულები ჩამოიშორა.



რუისის საკათედრო ტაძარი



რუისის საკათედრო ტაძარი

1092 წელს გარდაიცვალა თურქ-სელჩუკთა სულთანის მალიქ შაჰ I. უფლისწულებმა დაიწყეს ტახტისათვის ბრძოლა. საქართველოსთვის ხელსაყრელი იყო იქ არსებული რთული ვითარება.

1096 წლის შემოდგომაზე **კლერმონში** შეკრებილ საეკლესიო კრებაზე **პაპმა ურბან მეორემ** საზეიმოდ გამოაცხადა ჯვაროსნული ომების დაწყება – უფლის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ადგილებისთვის ბრძოლა სელჩუკთა წინააღმდეგ, დიდი ძალა დაიძრა აღმოსავლეთისკენ...

დავით აღმაშენებელი მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებზე კარგად იყო ინფორმირებული, შექმნილი ვითარება სათანადოდ შეაფასა და 1099 წელს სულთანს ხარაჯა შეუწყვიტა: **განძლიერდა დავით და განამრავლა სპანი და არლარა მისცა სულტანს ხარაჯა, თურქნი ვერლარა დაიზამთრებდნენ ქართლს...**

მეფის ასეთი თამამი ნაბიჯი ომის გამოცხადებას მოასწავებდა, თუმცა სულთანმა მისი გადაწყვეტილება უპასუხოდ დატოვა. ასე გათავისუფლდა ქვეყანა მიძიმე და სამარცხვინო ხარკისგან, რომელიც 80-იან წლებში გიორგი II-ს ერთადერთ ხსნად მიაჩნდა.

მას შემდეგ, რაც სელჩუკთა მარბიელ გუნდებს ქართლში დაზამთრების საშუალება შეეზღუდათ, დავით აღმაშენებელმა დაიწყო გაერთიანებული საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის შემოერთება, – ქვემო ქართლი, თბილისი და მისი ოლქი, აგრეთვე კახეთ-ჰერეთი. კახეთისათვის ბრძოლას ზედაზნის ციხით იწყებს: **მან წარულო კვირიკეს ციხე ზედაზნის ციხით შემდეგ, კვირიკე გარდაიცვალა, კახეთში გამეფდა მისი ძმისწული ალსართანი. დავითმა კახეთზე და ჰერეთზე გადაწყვეტი შეტევის წინ, თავისი მომხრეები გაიმრავლა, დიდებულებმა ალსართან კახთა მეფე შეიპყრეს და მეფეს გადასცეს, ასე დაიკავა დავითმა კახეთი და ჰერეთი.**

დიდებულებთან ბრძოლამ დავით აღმაშენებელი დაარწმუნა, რომ დიდგვაროვანი აზნაურების მთავარი დასაყრდენი ეკლესია იყო. 1103 წელს მან მოიწვია რუის-ურბნისის კრება. კრებამ დაადგინა, ის ეპისკოპოსები, რომლებიც საეკლესიო თანამდებობებს მემკვიდრეობით იღებდნენ, და

არა პირადი ღირსებით, თუ დამსახურებით, გადააყენონ და ღირსეული სასულიერო პირები აირჩიონ.

თურქებს ჯერ კიდევ ეკავათ საქართველოს დედაქალაქი თბილისი, ასევე ქვემო ქართლის ქალაქები და ციხეები, მათ შორის ციხე-ქალაქები დმანისი, სამშვილდე, რუსთავი და სხვ. ძლევამოსილი ბრძოლებით დავით IV ნელ-ნელა უახლოვდებოდა თბილისს, თუმცა ბატონყმობაზე დამყარებული ჯარი ჰყავდა, ამიტომ, მეფემ საქართველოში 45 000 ყივჩაღი ჩამოსახლა.

1121 წლის 15 აგვისტოს გაიმართა **დიდგორის ბრძოლა**, ქართველთა ჯარს გამოეყო და მტრის ბანაკისკენ გაემართა 200 მხედარი. თურქებს ისინი მათ მხარეზე გადასული მოლაღატები ეგონათ, რაზმი შუა ბანაკამდე მიუშვეს. ქართველმა მეომრებმა ხმლები იშიშვლეს და დაბნეულ მტრებს დაესხნენ. დავითმა ისარგებლა მტრის არეუ-დარევით, სწრაფად ეკვეთა ლაშქრით, თურქები დამარცხდნენ და გაქცევით უშველეს თავს.

დიდგორის ბრძოლის შემდეგ 1122 წელს დავით IV-მ ალყა შემოარტყა თბილისს და აიღო. სამეფო რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა.

მეფე-გვირგვინოსანმა დავითმა მეზობელი ქვეყნები თავის **ჩრდილსა ქვეშე** შეჰყარა და უწოდებდნენ მეფეს აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა და შირვანთა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, დავით აღმაშენებელი 1125 წლის 24 იანვარს თბილისში გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათის მონასტერში.

...და ჩემი სული აჩნდა გელათად...

ისტორიას არ ახსოვს დავით აღმაშენებელზე კეთილმსახური, თავმდაბალი მეფე. იგი მოძღვრის კურთხევის გარეშე ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა. სხვადასხვა დროს დავითის მოძღვრები იყვნენ მამა ევსტატი, მამა იოანე, მამა არსენი, მეუფე გიორგი ჭყოდიდელი მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი იყო. თავდადებული ქრისტიანი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

8 თებერვალი წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა.

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება გელათის ტაძრის მშენებლობა (დაიწყო 1106 წ.). დაარსა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა – გელათის აკადემია. მეფის განკარგულებით შიომღვიმეში ააგეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

სამყარო სულ ღიაა ამ პერსონისთვის...

XXI საუკუნეში მეფე-გვირგვინოსანს ღვთის ხელი იფარავს, და ახალი საქართველოსკენ მიუძღვება თავის ერს.

ლელა სურმავა



ურბნისის საკათედრო ტაძრის ეზოში არსებული საფლავები

მერაბი ჩვენს დღიურებში და დავით აღმაშენებლის თავგადასავალი

თბილისის მერიის, საკრებულოს და საქართველოს მთავრობის ბასაბონად!..

ხვალ, 10 ივნისს, მერაბ ბერძენიშვილს 79 წელი შეუსრულდება. ეს ჩანაწერები მოიცავს მხოლოდ ბოლო ხუთ წელს – ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობის აქტიურ პერიოდს. სამწუხაროდ, მერაბისთვის ეს წლები დიდი იმედგაცრუების წლები იყო. რატომ? – ამას მკითხველი იოლად მიხვდება...

29.VIII.2012. დამირეკა მერაბ ბერძენიშვილმა, იდეები მანუხებს, უნდა გაგანდოო. მივედი, ხერხემალს და სახსრებს იტკივებს, ისრაელში გავაგზავნეთ ანალიზები. დასკვნა: აუცილებელია ოპერაცია, ღრმად ვარ დარწმუნებული, 1 ოქტომბერს სააკაშვილი დამთავრდება და, ბუნებრივია, გადაწყდება დავით აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანის საკითხი, ისევე ივერიის არეალში უნდა დაიდგას, კონკრეტულად სად, ჯერ არ ვიცი, სერიოზულად ვფიქრობ ადგილზე გამზირის გასაყართან, პირით პროსპექტისკენ, განათებაც შესანიშნავია, თავიდანვე ეს ადგილი მინდოდა. მეორე: ქუთაისის მემორიალიდან გადარჩენილი **გამარჯვების მაცნე**, კარგი იქნება, დაიდგას პარლამენტის ეზოში. დანარჩენი შენ იცი. იფიქრე, პროსპექტის გასაყარი მეც მომწონს, პიედესტალი მალა-ლი უნდა იყოს, ფონიც დასჭირდება. რაც შეეხება **მაცნეს**, ადგილი ბრწყინვალეა. თაღებიდან ჯერ ფრაგმენტი გამოჩნდება, შემდეგ მთლიანად, ღამის განათებაზე განსაცვიფრებელი იქნება, – შენი ყველა პიედესტალი კარგია, განსაკუთრებით კი **ვეფხვი და მოყმე**, – ზოგადად, ქანდაკებას აქვს ზურგის პრობლემა, შენ გურამიშვილი კედელთან შემთხვევით არ დადგი, თუ პროფესიული ინტერესი არა, ზურგი არავის აინტერესებს. იგივე პრობლემა ჭქონდა ელგუჯას ილია ჭავჭავაძეს ბათუმში, ჩვენც გვიწოდდა მისი დადგმა სკვერის სიღრმეში, მაგრამ ძალიან ახლოს მიდიოდა უსახურ ტიპობრივ სახლებთან, როდესაც სააკაშვილმა ბოლონიაში არქიტექტორ ტომაზო ლაურეტის 1563-1566 წლებში აგებული **ნაპტუნის შადრევნის** ასლის დადგმა განიზრახა და ილია ჭავჭავაძის ძეგლის გადატანის აუცილებლობა შეიქმნა, ვნახე შემოთავაზებული ადგილი, გულის სიღრმეში გამიხარდა. გადატანით ქანდაკებამ მოიგო. არც ქუთაისის აღმაშენებლის ადგილია ურიგო (დავით აღმაშენებელი შადრევანს შეენირა), ელგუჯას და მე ეს ადგილი **რეზერვში** გვქონდა, მაგრამ ცენტრალური მოედნის ცდუნება მაინც დიდი იყო. დავით აღმაშენებელი ქუთაისის ცენტრიდან ვაგზლის მოედანზე რომ განამსესეს, ახალ პიედესტალს ორი მეტრი დააკლეს, როგორც გავიგე, სააკაშვილს ელოდებოდნენ და ძეგლი სასწრაფოდ დადგეს. კატეგორიულად ვითხოვდი სიმალის დამატებას, არ შეასრულეს, დაბალი პიედესტალი დარჩა და დარჩა, სამუშაოს მიღებაზე, ჩემი, როგორც ავტორის ხელმოწერა არ არის. იმედით ველოდები 1 ოქტომბერს, სააკაშვილი თუ დარჩება, დავითს არ გადმოიტანს, მაგრამ ყველაფერი ისე მიდის, მისი დრო თავდება. ამოიღო უჯრიდან გურამიშვილის ბრინჯაოს ოქრო და მაჩუქა. ძლივს წამოდგა, ნელ-ნელა კარებამდე მიმაცილა. იფიქრე, რა, დავითზე და მაცნეზეო. ეზოში ქანდაკებებია გამოფენილი, განათება კარგია, ცა – შესანიშნავი, გადავიღე **ღვთისმშობელი** ცის ფონზე და




დავით აღმაშენებელი

სხვა ქანდაკებები. ხო, მაჩუქა წიგნი **დაუჯერებელი სინამდვილე** ქართულ-ინგლისურ ენაზე, სადაც აღწერილია ქუთაისის **გამარჯვების მემორიალის** მთელი ისტორია, 1981 წლიდან – გახსნა, შემდეგ გაძარცვა და აფეთქება, სხვადასხვა გამოხმაურებები, – აქ შენი სტატიაც არის, შენც ბევრი იბობოქრე, მაგრამ რა, სატანამ თავისი საქმე გააკეთაო. საოცარია, ღვთისმშობელს ჯერ მკერდი ამოგლიჯეს, შემდეგ კი, აფეთქეს... ჩემი დაკვირვებით, მერაბმა ქუთაისის მემორიალის აფეთქება უფრო იოლად გადაიტანა, ვიდრე დავით აღმაშენებლის **გაძევება** თბილისის ცენტრიდან. ქუთაისის ვანდალიზმს უყურებდა მთელი სამყარო, ფაქტობრივად, მთელი პლანეტა დაუდგა მერაბს გვერდით. დალუპული დედა-შვილის ჭირისუფალი მთელი მსოფლიო იყო. ეს ფა-

ქტი ზეტრაგედიად აღიქვეს, როდესაც წუხილის გამოვლენის ბუნებრივი ფორმა **არ მუშაობს** და ადამიანი ხარობს.

10.IX.2012. მე და დათო ანდრიაძე ვესტუმრეთ ბერძენას. დათოს აინტერესებდა ქუთაისის მემორიალისგან გადარჩენილი **გამარჯვების მაცნეს** ნახვა. ვსხედვართ სახელდახელოდ გაშლილ სუფრათან, მორიგეობით ვყვებით ანეკდოტებს გურულებზე, მეგრელებზე, სვანებზე. გავისხენეთ; ხელოვნებამცოდნე კაგანი, ფარაჯანოვი, პიკო, ელგუჯა ივანიშვილი, ედმუნდ კალანდაძე, დიბლო (დილბარიანი). მერაბი ჰყვება: ორი ძმები იყვნენ, მოქანდაკე დიბლო, კაპიტალისტ დილბაოს ვეძახდით. ყოველთვის ჰქონდა ფული, თანაც მხარჯველი იყო. მეორე – **საბჭოთა დიბლო**, დილიდან საღამომდე ხატავდა და სვამდა. მუდამ უფულო იყო, **კაპიტალისტ** დილბოს ბიზნესი ლენინი იყო, ლენინის ძეგლები გაჰქონდა და დგამდა მთელს შუა აზიაში. ერთხელ კავშირში მოვიდა წერილი შუა აზიის ერთ-ერთი ქალაქიდან, დაიჭირეთ დილბარიანიო, თურმე ორი ქალაქისთვის, რომლებიც მეზობლადაა, ერთი და იგივე ლენინი მიუყიდა. დავიბარეთ დიბლო კავშირში, მაშინ თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი, გვითხრა, – რა მოხდა მერე, სხვა ქალაქებშიც ერთნაირი ლენინები დავედგი. წავიდეთ ახლა რესტორანში. უარს რატომ ვეტყვოდით, მეორე დღეს **გავაშანშალეთ** ოქმი, მივწერეთ მომჩივნას, ამ უგვანი საქციელის გამო, მოქანდაკე დილბარიანი გავრიცხეთ მხატვართა კავშირიდანო. გადარჩა **დაჭერას**, რა დროსაც არ უნდა გეთხოვა ფული, ასეთი შემთხვევა ხშირი იყო, აუცილებლად მოგვეცემდაო. მერაბი ახალ-ახალ ამბებს იხსენებს: ტურისტულ მოგზაურობაში ვიყავი საფრანგეთში, ჯგუფში ერთი ერეენელი კოლეგა იყო, კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს. მივიღვართ ქუჩაში, ვხედავთ ბავშვი ტირის, ვერ აჩერებენ. ლოვა მეუბნება, – მერაბჯან, *Смотри этот французский ребенок здесь в Париже плачет. а мой голодный Гаррик в Ереване смеется.*



ავტობიოგრაფი

1.X.2012. **საპარლამენტო არჩევნები.** 8.00 საათზე გამოაცხადეს ეგზიტპოლები. დიდი უპირატესობით იგეზს **ოცნება**. ქუჩებში გამოჩნდნენ დროშებიანი მანქანები. ნუთუ გავიმარჯვებთ?! მერაბის ზარი, მგონი ჩემი **ოცნება** ასრულდაო, – მგონი კი არა, ნამდვილად, ხვალ, აღვნიშნოთ. მარიამიც დავიმგზავრე, დიდი ხანია ვპირდები ბერძენასთან წაყვანას. ასეთი ეგზალტირებული მერაბი არასდროს მინახავს. მოეწონა მარიამი, ნამდვილი ბოტიჩელის გოგოაო. ქალბატონი კირაც შემოგვიერთდა, გავხსენით შამპანური. დავლოცეთ **ოცნება** და ბიძინა ივანიშვილი, – მარიამს გამოფენას მე თვითონ დავათვალისწინებდი, მაგრამ ზედა სართულზე მიჭირს ასვლა, მუხლებმა მიღალატეს. მიგვევა საგამოფენო დარბაზის კარებამდე, ახლა შენ მიხედო. მარიამი გაოგნებულია, იღებს და იღებს ფოტოებს, ნიბახაშვილის ნამონაფარია. ახლა, უკვე სერიოზულად ვსაუბრობთ დავით აღმაშენებლის ძველ საუფლოში გადმობრძანებაზე. შევთანხმდით, შევხვდეთ ერთი კვირის შემდეგ, უკვე ესკიზებით. ეზოში გამოვედით, მერაბს ხელში **სეკატორი** უჭირავს, მიმითითა დახუნძლულ ბრონეულის ხეზე, – ხომ, ხედავ, აქეთა ტოტზე ყველაზე დიდ, ყველაზე ნითელ ბრონეულს, მომიჭერი ტოტიანადო. მოვჭერი, – ეს მარის ჩემგან, ახლა, ბრონეულიან მარისთან ფოტოებიც გადავიღოთ.

2.IV. 2014. განვიხილეთ ძეგლის დასმის სამი ვარიანტი. მერაბი დარწმუნებულია, ძეგლისთვის რუსთაველის გამზირისა და რესპუბლიკის მოედნის გასაყარი უალტერნატივოა. თუკი საგზაო პოლიცია, 5-6 მეტრით მრუდის გადმოტანაზე დაგვთანხმდება. გადანყდა, ყველა ვარიანტი გადავუგზავნეთ ბატონ დავითს, – თბილისის მერობის კანდიდატს. უცებ მოიწყინა, ჩაფიქრდა. – ყველაფერი ეს

თავის მოტყუებაა, სულ ვფიქრობ და ეჭვი მკლავს, რომ ეს, – მიმანიშნა სახელოსნოში გამოფენილ ქანდაკებებზე – არავის სჭირდება. მგონია, ხალხი, ქანდაკებასთან მოვალეობისთვის მიდის, შინაგანი მოთხოვნის გარეშე, ქანდაკება ახალგაზრდული ხელოვნებაა, ახალგაზრდა კაცმა უნდა აკეთოს. ვერავინ იტყვის, რა უფრო ნაღდა (ისეც მიმოიხედა სახელოსნოში), ეს თუ, ვთქვათ, უზარმაზარი მარმარილოსაგან გამოთლილი სფერო, კარი ნიხლი და სადაც გაჩერდება მოლზე, იქ იდგეს, იქნებ, ეს უფრო გულწრფელია, ახლა, მოჩვენებითობის დროა, კაცი გაჩვენებს, თითქოს რაღაცა აინტერესებს, რაღაცაზე გული შესტკივა, კარგად რომ დააკვირდები, თურმე არაფერიც არ აინტერესებს. არქიტექტურა მაინც სხვაა, ალბათ, არქიტექტორებს არასოდეს ეუფლებათ ასეთი გრძობა, არავინ დასვამს კითხვას, არის თუ არა არქიტექტურა საჭირო?.. ერთმა კაცმა მითხრა, – შენს ნიგნში ყველაფერი თქვიო. გამეცინა, ყველაფერი კი არა, ყველაფრის ნახევარიც რომ მეთქვა, საქმე გასაქცევად მექნებოდაო. – მერაბ, ასეთი პესიმისტური ინტონაციები შენგან მოულოდნელია. ალბათ, ძალიან გადაიღალე, ახლა ის დროა, ერთი-ორი კვირით განერიდო თბილისს... ყველაფერი თავის ადგილას დადგება-მეთქი. დამხმარე ოსტატს პურ-მარილი ამოატანინა რესტორნიდან. ორი-სამი ჭიქის შემდეგ, კარგ გუნებაზე დავედქით.

5.VI.2014. მერობის კანდიდატმა დავით ნარმანიამ გამოთქვა მერაბთან შეხვედრის სურვილი. ეს გონივრული შესტია არჩევნების წინ, – მოველაპარაკე და გაცნობებთ. ვიზიტი მეორე დღესვე მოეწყო, პირველი ეზოში გამორჩნდნენ ჟურნალისტები და ტელევიზია. დათვალაიერება დაიწყო ეზოს ექსპოზიციით, შემდეგ გალერეით – გზამკვლევები ვიყავით მერაბი, მე და თამაზ შილაკაძე. აივანზე განვიხილეთ დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმის ადგილის ვარიანტები. მომავალი მერისგან იმედები დიდა.

25.IX.2015. პარლამენტის ეზოში **გამარჯვების მაცნეს** განთავსების ესკიზური პროექტი წერილთან ერთად, გადავუგზავნეთ ბ-ნ დავით უსუფაშვილს.

P.S. წინა მოწვევის პარლამენტმა ისე დაასრულა მოღვაწეობა, პასუხი არ მიგვიღია.

29.X.2015. რვა საათზე ბერძენას ჭიშკარს მოადგა ბატონი დავითის, უკვე მერის მანქანა. დავხვდით თამაზ შილაკაძე და მე, – მეგონა ორი მანქანა მაინც იქნებოდა, დაცვით არ სარგებლობთ? – არა, დაცვით და ესკორტით არ დავდივარო. მერაბს მიაართვა საჩუქარი – კონიაკი. საუბარი დავით აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანის ორგანიზებულ საკითხებს შეეხო, – რა ახალი ამბავი მოგვიტანეთ? – დაინტერესდა მერაბი. კარგი ამბავია, **ივერიის** წინ საბა-



მერაბი და გიგნა



დავით აღმაშენებელი

გირო სადგური არ აშენდება, – ყველა დარწმუნდა, რომ დაუშვებელია, ვაგონების უწყვეტმა ნაკადმა იმოძრაოს გამზირზე და რამდენიმე ათეული სახლის თავზე, – ამ საქმეში ჩემი წვლილიც არის, რამდენიმე პუბლიკაცია მქონდა, ყველაფერი წავიკითხეო. მეორე საკითხი ისაა, რომ პრემიერი ძეგლის დაბრუნებას აქტიურად უჭერს მხარს, ბატონმა ბიძინამაც მხარდაჭერა გამოგვიცხადა, თქვენთან მოკითხვა დამაბარაო, – უთხრა მერაბს, – საჭიროა, სასწრაფოდ გადავიდეთ საქმეზე, უამრავი ორგანიზაციული წვრილმანი გამოჩნდება, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით, – აღნიშნა თამაზ შილაკაძემ. შემდეგ საუბარი Wikileaks-ს – სააკაშვილ-ბოკერიას საუბარს, გაზეთ თბილისის აღდგენას შეეხო. მერაბმა აღნიშნა, – ოცნების მიერ გაკეთებული საქმეების საზოგადოებამდე მიტანის აუცილებლობა, სამთავრობო ტელევიზია, ასევე გაზეთ თბილისის აღდგენა. საუბარმა ორ საათს გასტანა. ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება ბატონი დავითის ამ ვიზიტს, უკვე ქალაქ თბილისის მერის რანგში.

24.XII. 2015. შეხვედრა მერიასში. ჯერ მე და ბ-ნმა დავით ნარმანიამ პირისპირ ვისაუბრეთ, შემდეგ შემოგვიერთდნენ არქიტექტურის სამსახურის უფროსი მოსულიშვილი და ვიცე-მერი ლეჟინაძე. საკითხი; დავით აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანა. აღვნიშნე, დრო უღმობლად გარბის, მერად თქვენი არჩევანიდან რამდენიმე თვე გავიდა. მერაბი ამ უმოქმედობას არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის დაყოვნებად, არამედ პირად შეურაცხყოფად აღიქვამს-მეთქი. იმის სანაცვლოდ, რომ რალაცნაირად მორალური, ფსიქოლოგიური კომპენსაცია მოვახდინოთ, წინა ხელისუფლების მიერ მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო, ახალი ხელისუფლება, უმოქმედობით, კიდევ ამატებს ამ დანაშაულს. ამ შეხვედრიდან ის მოელის კონკრეტულ განწყვეტილებას, რა უნდა გაკეთდეს ხვალ, ზეგ, აინტერესებს, არის თუ არა მერიის დადგენილება ძეგლის გადმოტანაზე, – უნდა შევიდეთ წინადადებით საკრებულოში, – ბრძანა ბატონმა მერმა. სამივე მონაწილე უფრო მეტად

ხაზს უსვამდა სირთულეებს და არა გადაჭრის გზებს, ის-მოდა: ტერიტორიის მეპატრონე, ვილაცეები მუშაობენ ამ ტერიტორიის სივრცითი მოწყობის პროექტზე, რა დაჯდება, ხალხმა არ თქვას, რა დროს ძეგლის გადმოტანაა და სხვ. ეს მეხუთე შეხვედრაც კონკრეტული შედეგების გარეშე დასრულდა. დარჩა შთაბეჭდილება, ხელისუფლება ოპოზიციამ და არასამთავრობოებმა ისე დააშინეს, რომ საქმის კეთებას, რომელიც გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული, ამჯობინებს, არაფერი აკეთოს, ერთმა კოლეგამ იხუმრა, ნარმანიას ყოველდღე ერთი სანტიმეტრით რომ გადმოენია დავითი, ახლა რუსთაველზე იქნებოდაო.

19.1.2016. დღევანდელი საქართველოს რესპუბლიკაში, პირველ გვერდზე არის დიდი ფოტო რეპინის **Бурлаки на Волге**, რომლებიც მიათრევენ დავით აღმაშენებლის ძეგლს. სათაურით ისევე თქვენ ბურლაკებო, დიდი მეფის დამბრუნებელი სხვა არავინ ჩანს. აქვე არის თბილისელების მიმართვა ქ. თბილისის მერის, ბატონ დავით ნარმანიასადმი, დროზე გამოასწოროს სააკაშვილ-უგულავას თავხედობა. მერაბი იგონებს: ქუთაისის მემორიალის ვანდალური აფეთქების შემდეგ, უამრავი ჭორი გავრცელდა, თითქოს მე საავადმყოფოში ვარ, მარჯვენა წამერთვა და სხვ. იძულებული გავხდი, პრესით მეპასუხა, – ამგვარი ჭორაობა ამორალურია, მე ავად არ ვყოფილვარ, და, ბუნებრივია, არც საავადმყოფოში ვინეტი, რაც შეეხება მარჯვენას, იგი მარჯვედაა. მოსკოვში მემორიალის აღდგენაზე ოფიციალური წერილი მივიღე. რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრისგან, ალექსანდრე ავდევიცისგან, მე მას მადლობა მოვახსენე თანადგომისთვის და მივწერე, რომ ამ მემორიალის აღდგენის საკითხის განხილვაც კი შეუძლებელია. სამწუხაროდ, გარდაცვლილია ძეგლის ავტორი ოთარ კალანდარიშვილი, არ არის შემორჩენილი პროექტი და შაბლონები. მემორიალის აღდგენაზე თანხმობა მე არავისთვის მიმიცია. რას იზამ ხალხი ჭორით ერთობაო.

6.III.2016. თამაზ შილაკაძემ დამირეკა. ბ-ნმა დავითმა მოულოდნელი ამბავი მითხრაო. ზარალა – ივერიის მოედნის მეპატრონე, თითქოს უარზეა დავით აღმაშენებელი თავის მოედანზე დაიდგასო. ზარალას ვიცნობ, დაველაპარაკები, რალაც არ მჯერა, წინააღმდეგი იყოს, – ეს იმდენად დაუჯერებელია, ინფორმაცია პირველი პირიდან უნდა გავიგო. დავურეკე მერაბს, ხომ არაფერი იცი, რა ხდება. ვესაუბრე ზარალას მამას, მითხრა, არა მგონია გიორგი წინააღმდეგი იყოსო. ისე, მისი ენთუზიაზმი მაინცდამაინც არ მომეწონა. ადრინდელს არ ჰგავდა, როგორც ჩანს, რალაც ხდებაო.

12.III.2016. შეხვედრაზე სილკ როუდში აღმაშენებლის ძეგლის დადგმის საკითხზე ივერიის წინა მოედანზე, ვიყავით თამაზ შილაკაძე და მე. დაიწყო შეხვედრა სილკ როუდის პრეზიდენტის გიორგი რამიშვილის (ზარალას) მონოლოგით, რომ მოედანთან დაკავშირებით მრავალი უსიამოვნება შეხვდა, შეიარაღებული პირები შეუფარდნენ ოჯახში, ძეგლის გადმოტანას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომ მე მიცნობს და პატივს მცემს, – მე კი ვიცი, რომ ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, ვინ უნდა იყოს წინააღმდეგი და რატომ. არა მგონია ნორმალური ფსიქიკის ადამიანი იყოს, – ამჟამად, მოედანზე სხვა რეალობაა. გვაჩვენა გერმანელების მიერ შესრულებული მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი, დაგხედე, ვერავითარ წინააღმდეგობას, მით უფრო კონფლიქტს ვერ ვხედავ, თითქოს ძეგლის დასადგამად მოუმზადებიათ სიტუაცია, – ხომ არ შეიძლება ბატონმა მერაბმა პატარა ზომის დავითი ან სხვა რაიმე კომპოზიცია შემოგვთავაზოს? – მერაბის სურვილი რაიმე დაკვეთის მიღება არ არის, სურს ძეგლის



მერაბი და ვახტანგ დავითაია

დაბრუნება თავის პირვანდელ არეალში. – რატომ არ შეიძლება ძეგლის დადგმა სხვაგან, ვთქვათ, მარჯანიშვილის მოედანზე? – მარჯანიშვილის მოედანზე დადგმა ნიშნავს, ერთი სატრანსპორტო კვანძიდან, მეორეში გადმოტანას, უხეშად რომ ვთქვათ, ერთი სანაგვედან, მეორეში სანაგვეში გადატანას, – სად გინდათ დადგათ ძეგლი? – ვაჩვენე, აქ დონეთა სხვაობაა, მარტო მცირე კორექტირება იქნება საჭირო. ძეგლის დადგმის საკითხს მარტო მე არ ვწყვეტ, – თქვენ წყვეტთ, თქვენს თანხმობას ვაცნობებთ ბატონ დავით ნარმანიას და დაიწყება პროცესი. საუბარი ტრამპზე ჩამოვადო, – ის აუცილებლად გახდება ამერიკის პრეზიდენტი, საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილია, ბევრ რამეში დაგვეხმარებაო. ამ ფოტოებს გერმანიაში გადავუგზავნი პროექტის ავტორებს, თუ საჭირო გახდება, ავტორს (ავტორებს) მოვინვევო. გამოსავალს ვიპოვითო, – ეს უკვე მომწონს, უკვე თანხმობაა. ავიღე ჩემი წიგნი და წავანერე: ბატონ გიორგის ღრმა პატივისცემით. თამაზი დაძაბული უსმენდა ჩვენს დიალოგს. დროდადრო ამშვიდებდა ატმოსფეროს მისთვის ჩვეული მშვიდი ტონით. ორშაბათს გადმოვიგზავნეთ მონუმენტის ფოტოები და ზომები, – გვითხრა ბატონმა გიორგიმ. გერმანული პროექტის ერთი ეგზემპლარი მოგვცეს. ბატონ მერაბს აჩვენეთო. დავემშვიდობეთ თბილად. თამაზი მივიყვანე თავის ოფისში, ჯიქიას ქუჩაზე, გზაში გავარჩიეთ შეხვედრის შედეგები. დამაკმაყოფილებლად ჩავთვალეთ. ვაცნობებ მერაბს.

19.III.2016. მერაბს ვაჩვენე ივერიის მოედნის გერმანული პროექტი, ის ადგილი, სადაც შეიძლება, უმტკივნეულოდ დაიდგას დავითის ძეგლი. ემთხვევა ძველ ადგილს. ცოტა დაბალი იყო ძველი პიედესტალი. – კი, დაბალი იყო, შენ იცნობდი ტონის, ჯიუტი იყო, – არ მჯერა, რომ პიედესტალის სიმაღლე მხოლოდ ტონის გადაწყვეტილება იყოს, მერაბსაც კარგაც ვიცნობ. მართალი ხარ, ჩემი აზრი ბოლომდე ვერ დავიცავი, თუმცა ტონის შემოთავაზებაც სავსებით მისაღებად მიმაჩნდაო. შენი და ელგუჯას პიედესტალები ყველა კარგია, – მე და ელგუჯა, ძეგლის ადგილზე, პიედესტალის სიმაღლე-სიგანეზე რომ შევთანხმდებოდით, შემდეგ თავისუფალი ვიყავი, შენ კი დეტალებში, სანტიმეტრებში წვდები, – კი, ასეა, მე უფრო მძიმე პარტნიორი ვარო. მერაბი უღარზე იყო. მოიგონა ალექო

გიორგაძე, იუმორის დიდოსტატი, როგორ იმიტირებდა ის აპოლონ ქუთათელაძეს. ნიკოლოზ კანდელაკს, უჩა ჯაფარიძეს, სხვებს. გუმინინ ვიყავი რუსთაველზე, ივერიის მოედანს კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი, ძეგლის დადგმის ის ადგილი, რომელზეც შენ ადრე საუბრობდი, საუკეთესოა. რუსები რომ ამბობენ, – Нет худа без добра. ახლა ის შემთხვევაა, აბსურდი, იქნებ ძეგლის სასარგებლოდ გამოვიყენოთ. მოამზადე რა, ამ ადგილის რენდერები, – მთხოვა მერაბმა. თამაზი შეგვპირდა, კადასტრში მოვიძიებ ცნობებს, იქნებ, ეს კუთხეც გაყიდულიაო.

24.IV.2016. კვირა 11.00 საათზე მე და თამაზ შილაკაძე შევხვდით აზარიანცის შენობის კუთხეში ბ-ნ დავით ნარმანიას. პატარა ვაჟთან ერთად მოვიდა, დაცვის გარეშე. დაღლილი ჩანს მძიმე კვირის შემდეგ. მანქანაზე გავშალე აღმაშენებლის ძეგლის დასმის ახალი ვარიანტის რენდერები, ფაქტობრივად, ძეგლის ადგილზე ვდგავართ, – კარგი ადგილია კედელიც უხდება, – ბრძანა მერაბმა. მე პირდაპირ საქმეზე გადავედი, – თქვენ ამასწინათ თქვით ძეგლის გადმოტანას მონინალმდეგეებიც ჰყავსო, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა იცოდეს საზოგადოებამ, ვინ არიან ეს მონინალმდეგეები, სააკაშვილი, უგულავა და ნაცები, რა თქმა უნდა, ნინალმდეგეები იქნებიან, მაგრამ ხომ არსებობს დანარჩენი საქართველო, უნდა დამთავრდეს ეს ჭოჭმანი, – მე ვიცი, მილიონებს უნდა უპირველესი მეფის ძეგლის ღირსეული ადგილის დაბრუნება, დაამატა თამაზმა, – ძალიან ბევრი დრო წაიღო საბაგირო გზის სადგურის საკითხმა. მშენებლობა დაწყებული იყო, შუალედური ბურჯების საძირკველი ჩასხმული, ზოგან სანახევროდ ამოყვანილი, სოლიდური თანხაა გაცემული, – აღნიშნა ბატონმა დავითმა, მონინალმდეგეები მაინც არ დასახელა. ის კონკრეტული გვარების დასახელებას ყოველთვის ერიდება. მთხოვა, ახალი ადგილის რენდერების ფოტოები მივანოოდო, პრემიერს ვუჩვენებო. ეს იყო და ეს. ჩემი აზრით, კიდევ ერთი უშედეგო შეხვედრა. მერაბი მოუთმენლად ელოდა ჩვენს ზარს. დავურეკეთ, ადგილი ბატონ დავითსაც მოსწონს, ფოტოები ითხოვა, – უთხრა თამაზმა. რამე კონკრეტული თუ თქვა, – იკითხა მერაბმა. დანარჩენს ვახტანგი გეტყვისო. აიცილა პასუხი თამაზმა, გადმომცა მობილური, – მერაბ არაფერი კონკრეტული, ყველაფერი ისევ გაურკვეველია, – ხომ გეუბნებით, ამ შეხვედრიდანაც დიდი იმედები ნუ გეკნებათ ეს კაცი ისე დაასრულებს მერობას, ძეგლს არ გადმოიტანს.

ვახტანგ დავითაია

გაგრძელება მომდევნო ნომერში



სამუდამოდ - ერის ისტორიაში

თანამედროვეობის უდიდეს მოქანდაკეს, მსოფლიოში აღიარებულ და ცნობილ ხელოვანს – მერაბ ბერძენიშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. დიდმა ნიჭიერებამ, ზოგადმა კულტურამ, გასაოცარმა მხატვრულმა ერუდიციამ მის პლასტიკურ ქმნილებებს, მსოფლიო ესთეტიკურ კონტექსტში, თვალსაჩინო ადგილი მიუჩინა. მაგრამ მიუჩინა ისე, რომ შემოქმედი ყოველთვის ინარჩუნებდა ეროვნულ ხასიათს, იგი ორგანულად იყო დაკავშირებული მშობლიურ ნიადაგთან, ქართველ ხალხთან, მის ფსიქოლოგიასა და მენტალიტეტთან, იმ უნიკალურ კულტურასთან, რომლის თვითცნობიერებასაც თავად ეს კულტურა წარმოადგენს.

ბედნიერებაა, როდესაც სამყაროს ასეთი ადამიანები უჩნდებიან დროდრო. განსაკუთრებით ათმაგდება ღვთის წყალობა, თუ ისინი მცირე ერის ნიაღში აღმოცენდებიან, და თუ ეს ერი მზად არის, გაუგოს თავის დიდ შვილს, რომელიც მათგან მხოლოდ თანადგომას ითხოვს და სხვა არაფერს.

ხდება იმგვარადაც, როგორც წარსულში ბევრჯერ მომხდარა: ისეთ ხალხს შეუფასებია მხატვრული ძეგლი, რომელიც საერთოდ ვერ ერკვევა ხელოვნებაში (ჩინოვნებებს ყოველ დროებაში უჭირდათ ხელოვნების ნაწარმოების გაგება). **გამარჯვების მემორიალის** ბარბაროსულმა განადგურებამ ქუთაისში, თავზარი დასცა მთელ საქართველოს, მაგრამ ხომ იყვნენ ისეთებიც (შემსრულებლები), რომელთა შესახებ მოქანდაკემ გულისტკივილით თქვა, – ქართველებს ვერ გავაგებინე, რას წარმოადგენდა ეს ძეგლი!..

ახლაც ისე მოხდა, როგორც მაშინ, როცა ავტორის გარეშე, დავით აღმაშენებლის ძეგლი გადაიტანეს, იმ სულის შემძვრელ გარემოში. უბრალო ხალხი გამოხატავდა თანადგომას და სიყვარულს თავისი ღვიძლი შვილის მიმართ, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი მათ პატარა სამშობლოს...

ყველაფერი, რაც ამ ხელოვანს უკეთებია, დიდი და მნიშვნელოვანია: გარდა მონუმენტური ქანდაკებებისა, საქართველოსა და მის გარეთ (რუსეთი, ამერიკა, ლაოსი). მას შესრულებული აქვს მრავალი ნაწარმოები ფერწერის, გრაფიკის, პლასტიკისა და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგში, თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა იგი ახალგაზრდობის აღზრდას, როგორც თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

საზოგადოებისთვის ცნობილია, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, შეუვალი პრინციპულობა, ყოველივე ეს, პატივისცემას და სიყვარულს იწვევდა, რასაც დრო ვერ გააფერმკრთალებს. ბატონი მერაბ ბერძენიშვილი ყოველთვის იქნება ქართველი კაცის სიამაყის, რაინდობის, პირადული ღირსების თვალსაჩინო მაგალითი...

იგი იყო გამორჩეული მოქანდაკის, ნიკოლოზ კანდელაკის მოწაფე, რომელსაც მთავარ მასწავლებლად მიიჩნევდა, მისი სადიპლომო ნამუშევარია, შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტი, რომლის მხატვრული ღირსებაც ისეთი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ათი წლის შემდეგ, ძეგლი მოსკოვში აღიმართა (1960.). ჩემი შემოქმედება რუსთაველის ძეგლით დაიწყო და რუსთაველის ძეგლით დასრულდა, – დასძენს მოქანდაკე.

ბატონი მერაბის მუშაობის პირველი წლები თეატრს დაუკავშირდა, რამდენიმე შთამბეჭდავი თეატრალური პლაკატი, რომელზეც გამოხატული პერსონაჟების სილუეტური სახეები, ძალზე პლასტიკური და ნოვატორული იყო. ამავე პერიოდში იქმნება მისი ფსიქოლოგიური და პლასტიკის თვალსაზრისით, სრულიად გამორჩეული პორტრეტული ბიუსტები, მაგრამ ხელოვანს მაინც მონუმენტური ქანდაკება იზიდავს.

ქმნის ძეგლებს: **ვახტანგ გორგასალი, დავით გურამიშვილი**, ძეგლთა პროექტები **ვაჟა-ფშაველა და შოთა რუსთაველი**. 1971 წელს თბილისში, ფილარმონიასთან დაიდგა **მუზა** – ყველასთვის საყვარელი ქანდაკება, რომელშიც გამჟღავნებულია ქალური მოხდენილობა, სინაზე, სულიერი ღირსება, სხეულის მღერადობა.

ამავე წელს ქალაქ კასპში აღიმართა **გიორგი სააკაძის გრანდიოზული ცხენოსანი ფიგურა**. ბიჭვინთაში დაიდგა ქანდაკება **მედეა**. 1972 წელს გამოძერწილ იქნა **ზაქარია ფალიაშვილის** ძეგლი, ხოლო 1975 წელს მარნეულში აღიმართა დედის ფიგურა ორი ვაჟითურთ. ქანდაკებას უწოდა **კიდევაც დაიზრდებიან**. 1978 წელს გურჯაანში დაიდგა გრანდიოზული ფიგურა **ჯარისკაცის მამა**. ქანდაკებისა და არქიტექტურის უნიკალური შეხამებით, გამორჩეული მემორიალი შეიქმნა 1982 წელს, ხოლო 1986 წელს – დიდგორის ბრძოლისადმი მიძღვნილი ნამუშევარი.

მოქანდაკის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს **დავით აღმაშენებლის** ფიგურა, რომელმაც ქართველების დიდი სიყვარული დაიმსახურა. მხატვრული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ავტორის გაღერება და ეზო-ბაღში მოთავსებული ნამუშევრები: **შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, ქეთევან წამებული, ვაჟა-ფშაველა, პუშკინი** და სხვ. თანამედროვეთა სკულპტურული პორტრეტები: **ნონა გაფრინდაშვილი, დინარა ნოღია, ლადო ქოქიაშვილი, ნათია ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე, დოდო აბაშიძე** და სხვ.

მერაბ ბერძენიშვილი იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სამი მონვევის დეპუტატი, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, მიანიჭეს საქართველოს სახალხო მხატვრის, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, თბილისის საპატიო მოქალაქის ნოდებები, მრავალი ეროვნული და საერთაშორისო ჯილდო. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად.

დიდი ხელოვანის ძეგლთა განლაგება, ქალაქების მოედნებსა და ქუჩებში, ან მემორიალური კომპოზიციების – ლანდშაფტურ გარემოში, მის ნამუშევრებს აახლოვებს მოქალაქეების ყოველდღიურ ყოფასთან. სიხარულს და იმედს სძენს მათ, რადგან ხედავენ თანამედროვეობის კავშირს წარსულთან, და არა მათ ურთიერთდაპირისპირებას. მათი მეშვეობით, ნათლად იაზრებენ თაობათა მემკვიდრეობითობას.

სამშობლოსა და ზოგადად ადამიანის სიყვარულით შთაგონებულმა დიდმა შემოქმედმა, მერაბ ბერძენიშვილმა თავისი მდიდარი და მრავალმხრივი მხატვრული შემოქმედებით, სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართველი ერის ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

მერაბ ბერძენიშვილი – 90



დრო უღეობლად გარბის...

მკურნალმა ბიჭიკო ასკურავამ მერაბ ბერძენიშვილი-სადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიების მოსანვევი გადმომცა. კლინიკის კედელზე გაკრულ სურათზე მიმითითა, – ლელა, ნამდვილი კაცი იყო, საუკეთესო მოქანდაკე, რომელმაც ეპოქა შექმნა. პატივი მივაგოთ მის ხსოვნას...

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში იკრიბებიან საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მერაბის მეგობრები, კოლეგები. დიდი დარბაზი სწრაფად შეივსო...

თანამედროვეობის უდიდესი მოქანდაკე, ქვათა გამცოცხლებელი, ეროვნული კაცი, მუდამ სამშობლოს სიყვარულით განმსჭვალული, კარგი მოსაუბრე, არტისტი, გამოირჩეოდა მჭერმეტყველებით, საოცარი ყესტიკულაცია, ინტონაცია... მერაბთან შეხვედრა და საუბარი დიდი სიამოვნება, ფუფუნება და პასუხისმგებლობა იყო, – ამბობს არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი. დიდი ტკივილი გადაიტანა, ავტორთან შეთანხმების გარეშე, დავით აღმაშენებლის ძეგლი ტრასაზე გადაიტანეს, ძალიან განიცდიდა ამ ფაქტს...

საიუბილეო სხდომა გახსნა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ, მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებაზე, მის ვაჟკაცობაზე ისაუბრეს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა, ხელოვნებათმცოდნე დავით ანდრიაძემ, ასოციაცია **კულტურათა დიალოგი XXI საუკუნე** პრეზიდენტმა ვალერი ასათიანმა, მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ გურამ ცერცვაძემ, ხელოვნებათმცოდნე სამსონ ლეჟავამ, კულტურის ფონდის თავმჯდომარემ თამაზ შილაკაძემ, არქიტექტორებმა გიგა ბათიაშვილმა და ვახტანგ დავითაიამ, მხატვრებმა გივი თოიძემ და თანდოლა თავართქილაძემ, კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა, პოლიტიკური პარტია **თეთრები** დამფუძნებელმა თემურ შანშიაშვილმა, მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლადო კახაძემ და სხვ. ღონისძიების დასასრულს, მერაბ ბერძენიშვილის მეუღლემ, ქალბატონმა კირამ სტუმრებს მადლობა გადაუხადა.

მერაბ ბერძენიშვილი ეპოქალურ მოვლენად იქცა და სამუდამოდ დარჩება ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეებაში... მაგრამ... დავით აღმაშენებლის დარდი არ ასვენებდა!.. ზოგჯერ პესიმიზმი იპყრობდა, ქანდაკებების არსს ვერ ხედავდა...



ბიჭიკო ასკურავა და მერაბ ბერძენიშვილი

– ვიდრე დავითის ძეგლი თავის ადგილზე არ დაბრუნდება, საქართველო ვერ მოისვენებს, – ასეთია საზოგადო მოღვაწეების პოზიცია.

მეცნიერთა დიდი კოჰორტა საქართველოს მთავრობას უკვე ულტიმატუმის ენით ესაუბრება!..

– ისე როგორ მოვეკვდე, დავითი ტრასაზე დავტოვო... რუსთაველის გამზირი და რესპუბლიკის მოედნის გასაყარი უალტერნატივოა, – ამბობდა მოქანდაკე.

– გპირდები, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და დავითის ძეგლს იქ დავდგამ, სადაც შენ გსურდა, – ამ სიტყვებით გამოემშვიდობა ვახტანგ დავითაია მერაბის ცხედარს.

მეორე დღეს, დავით აღმაშენებლის ძეგლთან მივედი, პიედესტალთან პატარა ვაზია დარგული. – ერთადერთი **ატრიბუტი**. ქანდაკებასთან მისვლა დამთვალეიერებლებისთვის შეუძლებელია, – სამანქანო მოძრაობა, შეუფერებელი გარემო, რამდენიმე სავაჭრო ცენტრი... შემდეგ ქანდაკების თანავტორს, ბატონ ვახტანგს სახელოსნოში ვენვი.

– ლელა, ახლოს მიდი ძეგლთან?

– **დიახ.**

– ყოჩაღ!

– **ჟურნალ გურიაREGION 2018 წლის ივლისის ნომერში დაიბეჭდა ვრცელი პუბლიკაცია ...და ნუ ოდეს დამივინებთ დავითს... ძეგლთან მისვლა და უყურადღებოდ მიტოვებული მეფის ხილვა, რთული იყო...**



რუსთაველის გამზირისა და რესპუბლიკის მოედნის გასაყარი





დავით აღმაშენებლის ძეგლი



– ტელეეკრანებიდან, გაზეთების საშუალებით სულ ვაკრიტიკებ საქართველოს მთავრობას, ერთი თვით ადრე, ვიდრე **ოცნება** გაიმარჯვებდა, მერაბმა დამირეკა და მითხრა, – ვახტანგ, ისეთი შეგრძნება მაქვს, სააკაშვილი მიდის და დავითი მოდისო... ავტორთან შეთანხმების გარეშე, ძეგლის გადატანა დანაშაულია... მაგრამ...

– ისტორიული პიროვნება თანადროულობით უნდა განსაჯოთ... მოვიდა დავითი?..

– რა თქმა უნდა, არა, ლელა!..

– რა არის მიზეზი?

– მიზეზი უცნობია. ორი თვის წინ მწერალთა სახლში შევიკრიბეთ, კატეგორიულად მოვითხოვეთ ძეგლის დაბრუნება. ბატონ ბიძინა ივანიშვილს გავუგზავნეთ წერილი და პროექტი, სამი თვეა, პასუხი არ მიგვიღია. რა გითხრათ, არ ვიცი... მინდა, ჩემს სოცოცხლეში მოვესწრო, ესკიზური პროექტია, უნდა მომზადდეს მუშა პროექტი, ზედამხედველობა საჭირო. ბევრი დეტალია, რომელიც მე და მერაბმა ვიცოდით, თუ **ოცნება** დაპირებას არ შეასრულებს, მომდევნო ხელისუფლება აუცილებლად დააბრუნებს დავითს. სამი წლის წინ, მერაბის ეგიდით ჩატარდა მსოფლიო მოქანდაკეთა კონგრესი, თვალეში შესციცინებდნენ. მერაბმა ღონისძიების ორგანიზატორები გააფრთხილა, – მცხეთაში სტუმრები შემოვლითი გზით წაიყვანეთ, რას იფიქრებენ, დიდ მოქანდაკეს ასეთი შეურაცხყოფა მიაყენესო!.. მართლაც, შემოვლითი გზით მივიდნენ მცხეთაში, დავითის გვერდის ავლით... თავად

ნახეთ და დარწმუნდით, იქ რა ვითარებაა.

– რატომ სურდა მერაბს ძეგლის დადგმა რუსთაველის გამზირსა და რესპუბლიკის მოედნის გასაყართან?

– ქანდაკება შესაფერის ადგილზე უნდა დაიდგას, უნდა შეგეძლოს ღონისძიების ჩატარება, ალქმის წერტილები, განათება, დღის მანძილზე მზე სხვაგვარად აჩენს ძეგლს, კედელი, რომელიც ზურგს ფარავს.

დავინტერესდი, როგორია დავითი ღამის თბილისში?.. ჩაბნელებული ქანდაკება, განათებების გარეშე. მომაგონდა პოეტ ანა კალანდაძის ლექსის ტაეპი – ასეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო მიუტევები...

დავით აღმაშენებლის მემატთან ახალი ჟამის დადგომას მეტაფორულად გადმოგვცემს, – ბნელსა უკუნსა შინა, იწყო აღმოცისკრებად მზემან.

ბატონ ვახტანგს იმედიანად დავემშვიდობე. საუბრის დასასრულს, თავისი ორტომეული მაჩუქა, – **ცხოვრების ფურცლები**.

სიმბოლურია, მერაბ ბერძენიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარი ფურცელი უდიერად გადაშალეს... მისი სულის სანუგეშოდ, დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნებაზე არაერთხელ ვისაუბრებთ, მოვითხოვთ ქმედებებს, სიბნელეში და მარტოობაში არ მივატოვებთ...

...და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს...

...და ეს მზე ამოანათებს...

ლელა სურმავა



რუსთაველის გამზირისა და რესპუბლიკის მოედნის გასაყარი

დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან 155 წლისთავი

დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტები

*განგებამ მოგცათ სუ ყოლისფერი
ნუ სწუხართ იმას, რომ ხართ უშვილო,
ნუთუ არ კმარა შვილად და ძირათ
თქვენთვის სამშობლო და საქართველო!*

1888 წელს დავით სარაჯიშვილმა შექმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც თავის მეცენატობას უხელმძღვანელებდა. განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის გასცემდა სტიპენდიებს. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ნიკოლოზ ზებედეც ძე ცხვედაძე.

ნ. ცხვედაძე იყო საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და პუბლიცისტი, ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობარი. დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და მოსკოვის სასულიერო აკადემია. 1874 წლიდან ასწავლიდა თბილისის ქალთა ინსტიტუტში და წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, – წესდების პროექტის შემქმნელი და საზოგადოების მუდმივი წევრი. 1899-1907 წლებში საზოგადოების თავმჯდომარის უცვლელი მოადგილე.

ვინ იყვნენ დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტები?..

დიდი მეცენატის დახმარებით ისწავლეს, შემდეგ კი, ცნობილი პიროვნებები გახდნენ...

მოსე ივნეს ძე თოიძე (1871-1953) – ახალი ქართული ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი. თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი.

სწავლობდა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. შემდეგ სწავლა გააგრძელა პეტერბურგში. უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით სარაჯიშვილის სტიპენდიას, მოსე თოიძე სწორედ პეტერბურგში იღებდა.

თბილისში მოსე თოიძის სახლ-მუზეუმი და თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდია: არსებობს მოსე თოიძის ქუჩა. დასაფლავებულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

კონსტანტინე (კოტე) გიორგის ძე ფოცხვერაშვილი (1880-1959) – კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე და საგუნდო დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი.

მუსიკალური განათლება მიიღო ჯერ თბილისში, შემდეგ პეტერბურგის კონსერვატორიაში. 1901 წელს მან რუსეთში ჩამოაყალიბა ქართული გუნდი, რომელიც პროპაგანდას უწევდა ქართულ ხალხურ სიმღერას.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ვანო (ივანე) პეტრეს ძე სარაჯიშვილი – ქართველი მომღერალი, სახალხო არტისტი. 1887 წლიდან სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, აქვე მღეროდა მოსწავლეთა გუნდში. შევიდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში. 1906-1908 წლებში გამოდიოდა იტალიის სხვადასხვა ქალაქის თეატრებში და მოიპოვა აღიარება. შემდეგ მონაწილეობდა ზ. ფალიაშვილის ოპერების დადგმებში.

ვ. სარაჯიშვილი დაკრძალულია თბილისის ოპერის თეატრის ბაღში. მისი სახელი მიენიჭა თბილისის სახელმწი-



დავით სარაჯიშვილი

ფო კონსერვატორიას და ქუჩას თბილისში.

იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძე (1876-1951) – თანამედროვე ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი პროფესორი.

სწავლობდა მოსკოვში, ცენტრალურ სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში, ოდესის სამხატვრო სკოლაში, პარიზის ხელოვნების უმაღლეს სკოლაში. 1906-1907 წლებში მუშაობდა პარიზში ოგიუსტ როდენის სახელოსნოში. იაკობ ნიკოლაძის პირველი დიდი მონუმენტური ნამუშევარი იყო ი. ჭავჭავაძის ძეგლი **მწუხარე საქართველო**, რომელიც 1913 წელს დაიდგა მთანმინდის პანთეონში თბილისშია ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი.

სარგის ნესტორის ძე კაკაბაძე (1886-1967) – ისტორიკოსი და ფილოლოგი, პროფესორი. კითხულობდა ლექციებს თბილისის ქალთა და უმაღლეს კურსებზე, შემდეგ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

სარგის კაკაბაძემ დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძე (1863-1937) – კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1889-1917 წლებში სწავლობდა და მოღვაწეობდა პეტერბურგის კონსერვატორიაში. ამ პერიოდში იგი აქტიურ პროპაგანას უწევდა ქართული მუსიკალური ხელოვნების სადამოებს.

დაკრძალული იყო ქუთაისში, ბაგრატიის ტაძრის ეზოში. 1956 წელს გადაასვენეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მწვანე ყვავილის ახლად გახსნილ პანთეონში. თბილისში არის მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქუჩა.

მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი (1855-1934) – ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი, მონოგრაფიის ავტორი – საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თბილისში არის მოსე ჯანაშვილის ქუჩა.

აკაკი გაბრიელის ძე შანიძე (1887-1987) – ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1913 წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი.

დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-სავეანეში. მის საფლავზე დგას ბიუსტი.

თბილისში არის აკაკი შანიძის ქუჩა.

სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი (1883-1944) – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე.

1907 წელს დაასრულა კლოსტერნოიბურგის (ავსტრია) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. როგორც ჩანს, ინსტიტუტში სწავლის დროს ეხმარებოდა მას დავით სარაჯიშვილი.

საქართველოს აგრონომიული უნივერსიტეტის ეზო-სავეანეში დგას მისი ბიუსტი.

გრიგოლ პართენის ძე მესხი (1884-1971) – ფერმწერი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

სწავლობდა ნატიფ ხელოვნებათა ნამახალისებელი კავკასიის საზოგადოების თბილისის ხატვის სკოლაში. შემდეგ ფერწერის, ძეგლისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ია (ილია) გიორგის ძე კარგარეთელი (1867-1939) – კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, მომღერალი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული



ანდრე კარბელაშვილი

მოღვაწე.

ბავშვობაში მღეროდა სიონის ეკლესიისა და ლ. აღნიაშვილის გუნდში, სიმღერას სწავლობდა ი. რატიანთან. 1895 წლიდან იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის მომღერალი. 1903 წლიდან მონაწილეობდა საქართველოს ფილარმონიული საზოგადოების დაარსებაში. 1910 წელს დაარსა ქართული საგუნდო საზოგადოება. პედაგოგად მოღვაწეობდა სასულიერო სემინარიასა და კონსერვატორიაში.

თბილისში არის ია კარგარეთელის ქუჩა.

გერონტი დიმიტრის ძე ქიქოძე (1885-1960) – მწერალი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე,

სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. 1903 წელს სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში. სწავლობდა ლაიფციგის, შემდეგ ბერნის უნივერსიტეტების ფაკულტეტზე, 1912 წელს თბილისში დაბრუნდა.

პირველი წერილი გამოაქვეყნა ჟურნალ მოგზაურში. ლიტერატურული მოღვაწეობა 10-იანი წლებიდან დაიწყო. ქართულ პრესაში აქვეყნებდა მაღალი ერუდიციით, დახვეწილი გემოვნებითა და უზადო ქართულით დაწერილ სტატიებსა და ესეებს საზოგადო ცხოვრების, ქართული და უცხოური მწერლობის, ფილოსოფიის, თეატრალური ხელოვნების საკითხებზე.

თბილისში არის გერონტი ქიქოძის ქუჩა. დასაფლავებულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე (1866-1952) – სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი 1932-1952 წლებში.



ნიკო ცხვედაძე

1875 წელს ჩაირიცხა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1888 წელს ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში, დაასრულა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1892 წელს მოღვაწეობა დაიწყო თბილისის დიდუბის ეკლესიაში. 1903 წელს თბილისის ქაშვეთის ტაძრის მღვდელმსახური, 1909 წელს ეპოძა დეკანოზობა.

დაკრძალულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილი (1878-1953) – კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე, ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მუსიკის სიყვარული გაუღვივა ლ. აღნიაშვილის ქართულმა გუნდმა. 1894-1901 წლებში სწავლობდა მოსკოვის ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო დრამატულ სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაასრულა. მოსკოვში ყოფნის დროს (1894-1918) აგროვებდა, იკვლევდა და პროპაგანდას უწევდა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს.

უფროსი თაობის სხვა ქართველ კომპოზიტორებთან ერთად (მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, ვ. დოლიძე) დ. არაყიშვილი აღიარებულია ეროვნული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებლად.

თბილისში არის დიმიტრი არაყიშვილის ქუჩა.

ილია თევდორეს ძე ყიფშიძე (1892-1953) – გეოლოგი, საქართველოს გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1908 წელს დაასრულა რაინ-ვესტფალიის უმაღლესი ტექნიკური სკოლა (ქ. აახენი). ალბათ, ამ დროს იყო იგი დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტი.

გიორგი (გიგო) ივანეს ძე გაბაშვილი (1862-1936) – ფერმწერი, საქართველოს სახალხო მხატვარი, ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი დამაარსებელი.

1852-1883 წლებში სწავლობდა თბილისში კერძო სამხატვრო სკოლაში. 1886-1888 წლებში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. 1894-1897 წლებში მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში. 1898 წელს იყო იტალიაში და საბერძნეთში. სამხატვრო ასპარეზზე გამოვიდა 1888 წლიდან.

თბილისშია გ. გაბაშვილის მოედანი და ქუჩა.

დავით ილარიონის ძე კასრაძე (1885-1965) – მწერალი.

დაასრულა გორის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ თბილისის სამხატვრო სასწავლებელი. 1905-1910 წლებში სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. სწორედ ამ დროს იყო დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტი. 1901 წლიდან მისი წერილები და მოთხრობები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. 1923 წელს იყო ბათუმის გაზეთ **მწვერვალის** რედაქტორი. მისი შემოქმედებიდან გამოირჩევა რომანები **გურანდა** და **კეთრი**, ჰეროიკული პოემა **ლეგენდა რუსთაველზე**, ისტორიული რომანი **იბერიის დედოფალი**.

კონდრატე დავითის ძე თათარაშვილი (უიარაღო) (1872-1929) – მწერალი.



1887 წლიდან სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. პირველი მოთხრობა **მშვიდობით**, 1895 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ **მოამბეში**. 1912 წელს დაწერა მოთხრობა **მამელუქი**, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. პოლიციის ზედამხედველობის გამო, დატოვა საქართველო. 1921 წელს საქართველოში დაბრუნდა, მუშაობდა თსუ-ს გეოლოგიურ კათედრაზე, 1923 წლიდან სახელმწიფო გეოლოგიურ განყოფილებაში.

დღეს, თბილისში უიარაღოს ქუჩაა.

ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი (1872-1950) – ეკონომისტი, პუბლიცისტი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე. თსუ-ს ერთ-ერთი დამაარსებელი.

1901 წელს დაასრულა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ეკონომიკური განყოფილება. მიენიჭა დოქტორის ხარისხი. 1892 წლიდან მოღვაწეობდა სამეცნიერო მიმართულებით. 1903-1913 წლებში იყო თბილისის საქალაქო სათათბიროს, ასევე, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტატისტიკური ბიუროს ხელმძღვანელი. 1904 წელს ფილიპემ ანდერძით მიიღო პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ქართული ფოლკლორის მდიდარი კოლექცია. 1905-1906 წლებში რედაქტორობდა გაზეთ **ივერიას**.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზო-საფანეში დგას ფილიპე გოგიჩაიშვილის ქანდაკება.

P.S. ქართველმა მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (1918 წლამდე გიმნაზიის უწოდებდნენ) დაარსებაში. შენობის საძირკველში, მან ერთი მუჭა ოქრო ჩაყარა. ნიკო ცხვედაძე, რომელიც ამ საქმეს თავკაცობდა. 60 ათასი მანეთი გადასცა და უთხრა, – აჰა, ჯერ ეს იკმარე, ოღონდ ნურსად გამამუყლავნებ, დაიწყე საქმე, და რამდენიც დაგჭირდება, აქ ვარ...

და, თურმე ასეც იყო..

დღეს, თბილისში ნიკო ცხვედაძის ქუჩაა.

ანდრე კარბელაშვილი



სარაჯიშვილის ბრენის ბრენდი

ლოცვა



კავსოკალივიაში ტალავერის ქვეშ მსხდომ მონაზონთა ჯგუფი სხვადასხვა მონასტრიდან, სვიტიდან და სადაყუდებულოდან

ბერი იაკობი ამბობდა: შეილება, არც ერთი ლოცვა არ იკარგება. პირადად მე, რამდენი წელია ლოცვა მშველის.

წმინდა ანთიმოზი, თავისი მონასტრის მონაზვნებისადმი მიმართვის დროს აღნიშნავდა: ლოცვა – დამქანცველი შრომა როდია. შინაგანი მოღვაწეობა, სულის თბილი ლმობიერებაა. მაგრამ, ლოცვა საჭიროებს მარხვასა და მღვიძარებას. მარხვა აშრობს ვნებებს, მღვიძარება კი – მოაკვიდინებს, ლოცვა ადამიანს ფრთებს ასხამს, ცაში აჰყავს, ციური ნიჭით აჯილდოვებს.

ბერი იოსები ამბობდა: წმინდა ლოცვისკენ მიმავალი გზა, ვნებებთან ბრძოლით იწყება. ვიდრე ვნებები ბოხოქრობენ, ლოცვაში წარმატებას ვერ მიაღწევ.

ბერი პორფირე ამბობდა: ლოცვა ძალის მომნიჭებელია, მონამენი წამების დროს, ძლიერ ტკივილებს განიცდიდნენ, ჩვეულებრივ ადამიანსაც იგივე ტკივილი ექნებოდა. განსხვავება ისაა, რომ მონამენი ლოცვით მუდმივად ქრისტესთან იყვნენ შეერთებული, დიდ ძალას იღებდნენ და აღწევდნენ გამარჯვებას. თუნდაც ერთი წამით რომ შეეწყვიტათ ლოცვა, ტკივილები აუტანელი იყო და ისინიც უფალს უარყოფდნენ, მაგრამ, რადგან ლოცვით იყვნენ ქრისტესთან კავშირში, ძალა ემატებოდათ და ბოლომდე ითმენდნენ ტკივილს.

ბერი ამფილოქე გვასწავლიდა: ლოცვა, რომელიც სრულდება გულმოდგინედ, მხნედ, მონივნებით, რწმენით, ლმობიერებით და ყურადღებით, – სასარგებლოა. ეშმაკი სხვადასხვა საშუალებით ებრძვის მათ, ვინც ლოცულობს, ხოლო ვინც არ ლოცულობს, ისინი უყვარს. ლოცვით ადამიანი ღმერთს ესაუბრება, შესთხოვს ცხოვნებას. მლოცველი თავმდაბალი უნდა იყოს.

ბერი პაისი ამბობდა: არავინ არის იმაზე ნეტარი, ვინც ზეცის რადიოსადგურთან დაამყარა კავშირი და ღვთისაგან დაცულია კეთილმსახურებით. და არავინ არის იმაზე უბედური, ვინც ღმერთთან კავშირი განწყვიტა, დაკარგა რა გონება, კავშირი გააბა წუთისოფელთან, და წუთისოფლის რადიოსადგურებთან. თუნდაც მცირე ხნით, დაივიწყოს ის ძლიერი მღელვარება, რაც ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნამ გამოიწვია. ასეთი რჩევაც მოგვცა: ლოცვის

წინ, ძალიან გვეხმარება პატერიკიდან ერთი ნაწყვეტის ნაკითხვა. მაშინ გული გათბება და ყველა საზრუნავი გაქრება, და შეძლებ გაუფანტავად ლოცვას.

გონების შესახებ, რომელიც ლოცვის დროს გაფანტულია, თქვა: ლოცვის დროს, როცა ჩვენი გონება ცუდ საგნებზე გადადის, ან, მათზე ზრახვები, თავისთავად, ჩვენი სურვილის გარეშე მოდიან, ნუ შევეპასუხებით მტერს, რადგან ერთად რომ შეიკრიბოს ყველა ადვოკატი, თავიანთი საუბრით, ერთ ეშმაკუნასაც ვერ მოერევიან. ეს ზრახვები, ისევე როგორც მკრეხელური ზრახვები, შეიძლება მხოლოდ მათი არად ჩაგდებით განვდევნოთ.

ბერი იერონიმე ამბობდა: თავს ნუ მიანებებ ლოცვას. უფთხილდი დაუდევრობას, გულგრილობას. როცა დილით ლოცულობ და გრძნობ ლმობიერებას, მთელი დღე იფრენ, თითქოს ფრთები გამოგესხა, მაგრამ, თუ დილას ლოცვის გარეშე იწყებ, ყველაფერი უკულმა წაგივა.

ლოცვის შესახებ ის თავის სულიერ შვილს არიგებდა: ბევრი ილოცე, შექმენი შესაფერისი მყუდროება, თუ დილით საკმარისად ვერ ლოცულობ, ილოცე შუადღისას, ან საღამოს. ლოცვისთვის ისეთი დრო შეარჩიე, რომ იყოს სინყნარე. ილოცე, ვიდრე არ განვიმდება, ესე იგი ვიდრე ცრემლი არ მოგადგება. ლოცვა – დამატკობელი საქმიანობაა.

ბერი იოილი ქალაქ კალამიდან ამბობდა: სამყაროს მიზანია, ქება-დიდება უფლისა, ცაში ღმერთს ქებას ასხამენ ანგელოზები და წმინდანები, ვარსკვლავები და ფრინველები, მიწაზე – ბრძენნი და უსწავლენნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი. უფლის დიდება ის სიმია, რომელიც სამყაროს ყველა ნაწილს აერთებს. ეს გადამწყვეტი აზრია, სამყაროს უმაღლესი მიზანია, მამასადამე, ადამიანისაც.

იგივე ბერი ამბობდა: მლოცველი ადამიანის სიხარულით აღსავსე სიმშვიდეში, მზადდება ნიადაგი და კეთილი ზრახვები ზეციური ბგერებით, ნელ-ნელა აწვევებს მის სმენას მშვენიერ რჩევებს, რომლებიც ზეციური საუბრებია.

ბერი ამფილოქე ამბობდა: ლოცვამ აავსო სამოთხე წმინდა ადამიანებით. გონიერი ლოცვის გარდა, განწმენდისა და კურთხევის სხვა საშუალება არ არსებობს. მშვენიერია ფსალმუნები და საეკლესიო გალობები, მაგრამ ჩვენ იმისთვის ვგალობთ, რომ მოვიზიდოთ ადამიანები და სულიერად შევეძრათ ისინი.

ბერი იერონიმე კუნძულ ეგინიდან ლოცვის შესახებ ამბობდა: ზოგიერთი, მცირე ხნით რომ დარჩეს ლოცვის გარეშე, ვერ ძლებს და იტანჯება. როცა მშობელი დედა, ან ნათესავი გვიკვდება, წიგნს კი არ ვიღებთ, რომ ვიტყვით, მწუხარებისაგან სიტყვები გონებაში თავისთავად მოდიან, ასეა ლოცვაშიც, ჩვენ უნდა ვუთხრათ ღმერთს ის, რაც გვანუხებს. თუ თავად არ გესმის, ან ვერ იგებ, რასაც ამბობ, როგორ გინდა ღმერთმა გაიგოს? თავის თავზე ამბობდა: როცა მცვივა, ვლოცულობ, და ღვთის მადლი მათობს.

დიდი ბერი პორფირე ლოცვის შესახებ ამბობდა: როცა ღვთის მადლში ვართ, მაშინ ჩვენი ლოცვა ხდება წმინდა. ვილოცოთ განუწყვეტლივ სანოღშიც, დასაძინებლად რომ ვემზადებით, როცა ვისვენებთ.

იმავე ბერმა თავის სულიერ შვილს ურჩია: ნუ ილოცებ, რომ უფალმა სხვადასხვა ავადმყოფობისგან განგკურნოს, არამედ დამშვიდდი გონიერი ლოცვით, დაიმარხე მოთმინება. ასე დიდ სარგებელს მიიღებ.

ბერმა პორფირემ ასეთი მაგალითი მოიყვანა: აი, სადაც ელექტროსადგურია, ოთახში ნათურა არაა, მაგრამ თუ ჩამრთველი არ ჩავრთეთ, სიბნელეში დავრჩებით. არის ქრისტე, არის ჩვენი სულიც, მაგრამ თუ ლოცვის ჩამრთველს არ ჩავრთავთ, ჩვენი სული ქრისტეს ნათელს ვერ იხილავს და ეშმაკის სიბნელეში დავრჩებით. თავის ერთ-ერთ სულიერ შვილს უთხრა: იცი თუ არა, რა დიდი მადლია, რომ ღმერთმა მოგვცა უფლება, ვესაუბროთ მას ნებისმიერ დროს, ნებისმიერ წამს და ნებისმიერ ალაგას, სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ? მას ჩვენი ყოველთვის ესმის. ჩვენთვის ეს დიდი პატივია. ამიტომ, ყოველთვის უნდა გვიყვარდეს ღმერთი.

ბერი იოილი ეუბნება თავის სულიერ შვილს: როცა სალოცავად მიდიხარ, გაიხსენე შენი ვნებები, სისუსტეები, რა ადვილად გაურბიხარ ღმერთს და ეცემი. გაიხსენე, რომ მხოლოდ ქრისტეს შეუძლია გიხსნას დაცემისაგან.

ბერი ევსევი ამბობდა: როცა ვნება აღწევს სულში, ატყვევებს მას და იმორჩინებს. ამ დროს ადამიანი გონს უნდა მოეგოს, განუწყვეტლივ ილოცოს, ვიდრე ვნებისგან არ გათავისუფლდება. თავის სულიერ შვილს წერდა: ლოცვა

და სწავლა მარად იყოს შენთან. კეთილისმოქმედი იყავი სხვებისთვის სიტყვითა და საკუთარი მაგალითით.

ბერი იოსები დამწყებ მონაზონს, რომელსაც შინაგანი ბრძოლები ჰქონდა, წერდა: შენ ვერ ხედავ, რამდენი ღმერთი დაეცა, ან გაიქცა შენს მიერ წარმოთქმული ყოველი ლოცვით. შენ ხედავ მხოლოდ რამდენი ჭრილობა მოგაყენეს მათ. იცოდე, ისინიც მარცხდებიან და გარბიან. მოთმინება მათ კისრისტეხვით დევნის. ხოლო ლოცვა სერიოზულად სწყლავს. ასე რომ, ნუ მოელი, რომ შენ მათ ბრძოლაში ტყვიებს დაუშენ, ისინი კი შოკოლადებს მოგაყრიან.

ბერი პაისი ამბობდა: თუ გსურს, ღმერთმა შენი ლოცვა შეისმინოს, დააჭირე თითი თავმდაბლობის ღილაკს, რადგან ღმერთი მუდამ ამ სიბშირეზე მუშაობს, და სიმდაბლით სთხოვე მონყალება.

ბერი ამფილოქე ამბობდა: უსიყვარულოდ ლოცვა, ჰგავს კეთილ და ლამაზ ფრინველს, რომელსაც ფრთები არა აქვს და ლოცვა არ შეუძლია.


მონაზონ ქალებს ბერი ამფილოქე ასე მიმართავდა: მინდა, აღმართოთ ადგილები ლოცვისათვის თქვენს კუნძულებზე, მინდა, თქვენში გავიგონო უფლის ხმა, მინდა, თქვენი გულებიდან ილაპარაკოს უფალმა, ლოცვით იყავით მისი საყდარნი.

ბერი პორფირე ამბობდა: როცა ლოცულობთ, შეასრულეთ მეტანიები, დამლელიც რომ იყოს ეს. ლოცვა, რომელსაც თან ახლავს ნებაყოფლობითი მსხვერპლი, სასურველია ღმრთისათვის, და მეტი ნაყოფი მოაქვს.

ბერი პაისი ამბობდა: ძმაო ჩემო, ლოცვის დროს ნუ-



უბინობა, უპოვარება, მორჩილება: სამმაგი ყვავილი მადლა ათონზე



რაფერს ეძებ, გარდა მონანიებისა. მონანიებას მოაქვს მორჩილება, მორჩილებას – ღვთის მადლი, და შენ იქნები ამ მადლში. რასაც ითხოვ, თავის გადასარჩენად, ასევე, სხვებისთვისაც მოგეცემა უფლისგან.

ბერი იოსები ამბობდა: როცა ღვთის ნების გაგება გსურთ, აბსოლუტურად განერიდეთ საკუთარ თავს. ყველა გულისთქმას და აზრებს, ლოცვაში დიდი მორჩილებით, ითხოვეთ ჩანვდეთ ღვთის ნებას. რასაც გული გიკარნახებთ, შეასრულეთ. ეს იქნება ღვთის ნების განხორციელება. ვინც ამისთვის გულმხურვალედ ლოცულობს. შინაგანი რწმენა მას ნათელ ცნობებს აწვდის. ცხოვრებაში უფრო ყურადღებით არის, და ნაბიჯს არ გადადგამს, ვიდრე ღმერთი ცნობას არ მიანვდის.

ბერი იერონიმე ამბობდა: თავს ვწირავ იმას, ვისთვისაც ვლოცულობ, ვერ ვილოცებ მსხვერპლის გაუღებლად. ლოცვა, რომელიც უსიყვარულოდ ხორციელდება, ესე იგი გულში სიყვარულისა და ტკივილის გარეშე, ვერ აღწევს ღმერთამდე. როცა ლოცულობთ ადამიანისთვის, რომელსაც ეშმაკი ცოდვის გზით მიაქანებს, ნუ ეტყვი, რომ მისთვის ლოცულობთ, ეშმაკი გაიგებს და წინააღმდეგობებს აღძრავს. შენი ლოცვა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, ილოცე ფარულად და ლოცვა უშველის.

ბერი პაისი ამბობდა: როცა ადამიანი სულიერად ჯანსაღია, და განერიდება მოყვასთ, რომ ლოცვით მეტი დახმარებ გაუწიოს, მაშინ ის წმინდანად რაცხს, საკუთარ თავს კი – ცოდვილად.

ბერი იერონიმე ამბობდა: ლოცვა ღმერთთან საუბარია, როცა ლოცვის სიხარულს ვიგრძნობთ, ვიგრძნობთ

სულიერ დღესასწაულსაც. ეს არის სამოთხის წინასწარი ხილვა, ბევრი ღვანლია საჭირო, რომ იგრძნო ეს სიხარული. სიტყვა ცეცხლის დასანთებ საშუალებას ჰგავს, რომელიც საჭიროა, ვდრე ცეცხლი დაინთება. ესე იგი როცა სინანული და თავმდაბლობა იბადება, ადამიანი დუმს, ის გრძნობს უფალს საკუთარ თავში და უსმენს მას, და ცრემლიც იღვრება, ადამიანი ამ დროს ღრმა სულიერ მდგომარეობაშია ლოცვით.

ბერი ამფილოქე თავის სულიერ შვილებს უამბობდა: როცა ლოცვის მწვერვალზე ვარ, ჩემამდე ვერავითარი ტალღა ვერ აღწევს, მაგრამ თუ ძირს ჩამოვალ, ტალღები გადამივლიან. გონივრული ლოცვა ეუფლება ადამიანს, ატყვევებს და აცისკროვნებს მას. როცა სულში ლოცვის ცეცხლი ანთია, გრძნობ სიხარულს, სიტკბოს, ქრისტეს შენთან ყოფნას, ლოცვა ადამიანს ბავშვად ხდის, აბრუნებს იმ სისადავესა და უმანკოებაში, ადამს რომ ჰქონდა სამოთხეში დაცემამდე. ლოცვით ადამიანი აღწევს კურთხეულ და წმინდა უშფოთველობას, ლოცვით ნათდება ის ადგილი, სადაც ზიხარ და ის საქმე, რასაც აკეთებ. ლოცვით ყველა დაბრკოლებას გადალახავ. ზღვაზე მოგზაურობ და მანძილს ვერ გრძნობ. ლოცვით ადამიანის ხასიათი იცვლება, ხდება – მამაცი, მორწმუნე და მომთმენი.

ბერი პორფირე ამბობდა: ვერ გადაირჩენ თავს, თუ სხვები არ გადარჩნენ. შეცდომაა, თუ ვინმე, მხოლოდ თავისი თავისთვის ლოცულობს. ჩვენ უნდა ვილოცოთ მთელი ქვეყნიერებისათვის, რომ არავინ დაიღუპოს.

ნატო ციციშვილი



კარგესხო წმიდა ანდრეას სვიტი, ათონის ჩრდილო-აღმოსავლეთი სიდა



– გიორგი ანატოლის ძე.
 – უკაცრავად, თქვენი სახელი? – კითხვა დაუბრუნა მამაკაცმა.
 – როგორ? თქვენ არ იცით, ვინ ვარ? – ქალბატონს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა.
 – მომიტევეთ, მაგრამ, არა. დიდი ხანია საქართველოდან წასული ვარ. ამიტომ, ბევრი რამ არ ვიცი. ასეთია მეზღვაურის ცხოვრება. ჩვენ ბევრ რამეს ვართ მოკლებულნი.
 ქალბატონმა მოინწყინა.
 – ესე იგი, ჩემი არცერთი როლი არ გინახავთ? – კვლავ გაოცებით ჰკითხა.
 – სამწუხაროდ, არა.
 – მაშინ, რატომ?.. კითხვა აღარ დაასრულა.
 – კარგი, გავიდეთ ფოიეში, – ქალბატონი წამოდგა.
 – ბუფეტში ხომ არ შევიდეთ? – მორიდებით იკითხა მამაკაცმა.
 – სიამოვნებით.
 ბუფეტის წინ უკვე რიგი იდგა.
 მამაკაცმა თეთრხალათიანი ქალი იხმო, ხმადაბლა რაღაც გადაულაპარაკა.
 რამდენიმე წუთში მაგიდაზე ბროლის ფუჟერები, ექვსი შამპანური და ტრიუფელის კოლოფი იდო.
 – უიმე! ამდენი რა საჭიროა? – თქვა ქალბატონმა.
 – არა უშავს, იყოს. ვხედავ, ბევრი ნაცნობი გყოლიათ. ჩანს ძალიან პოპულარული ბრძანდებით. მოიპატიჟეთ, გაუმასპინძლდით.
 ქალბატონმა თვალი ეჭვით შეავლო, სიტყვებში ირონია ამოიკითხა.
 მამაკაცმა თვალი გაუსწორა, ისე ალაღად გაუღიმა, ქალბატონს ყოველგვარი ეჭვი გაუქრა.
 – კარგი, დაასხით! ეს ჩვენი შეხვედრისა იყოს!
 წყვილის მაგიდას ფარვანასავით შემოეხვია ხალხი – ცნობილი ადამიანები, რეჟისორები, მსახიობები, პოეტები, მხატვრები...
 – გაიცანით ჩემი მეგობარი! ჩრდილოეთიდან გვეწვია. მალე ისევ ზღვაში მიდის, გზა დაველოცოთ! – მომაჯადოებელი ღიმილით მასპინძლობდა ქალბატონი.
 მესამე ზარი.
 ყველანი დარბაზში დაბრუნდნენ.
 სინათლე ჩაქრა.
 დაიწყო საზეიმო კონცერტი, მხოლოდ რჩეულები მონაწილეობდნენ.
 ქალბატონი დროდადრო თვალს შეავლებდა მამაკაცს, რომელსაც ერთხელაც კი არ მოუხედავს მისკენ. მამაკაცი გარინდული იჯდა, სცენას თვალს არ აშორებდა...
 როგორც იქნა, კონცერტი დასრულდა.

მამაკაცმა ქალს პალტო ჩააცვა და გასასვლელისკენ გაუძღვა.
 – ნება მომეცით, შინ გაგაცილოთ! – ტრანსპორტი აქვე გველოდება.
 – სიამოვნებით.
 მანქანასთან მამაკაცი შედგა, შემოტრიალდა, პირველად აღმოჩნდა ქალის პირისპირ ასე ახლოს.
 – ქალბატონო! გთხოვთ მომიტევეთ, ერთი თხოვნა მაქვს, ნუ გამანბილებით.
 – გისმენთ.
 – იცით, ხვალ თბილისიდან მივდივარ, ვინ იცის, კიდევ როდის მომიწევს დაბრუნება, ან ჩამოვალ კი საერთოდ? გთხოვთ, შინ მენვიოთ. სამწუხაროდ, ამ შეხვედრას არ ველოდი. საგანგებოდ არაფერი მაქვს მომზადებული, მაგრამ ყავით გაგიმასპინძლდებით. სხვათა შორის, სოხუმში ვარ დაბადებული. ჩემი მეგობრების აზრით, საუკეთესო ყავას ვხარშავ, – გაიღიმა და ქალს თვალებში ჩახედა.
 – ღმერთო, თვალები! რა ღვთაებრივი, არამინიერი, მომაჯადოებელი თვალები ჰქონდა!
 ქალბატონი შეყოვნდა.
 – კარგი, ნავიდეთ, ოღონდა ცოტა ხნით, თორემ გვიანია.
 მამაკაცმა უკანა კარი გამოაღო.
 – გთხოვთ.
 მამაკაცი წინ ჩაჯდა.
 – შინ! – მიმართა მძღოლს.
 შავი, მბზინავი ზიმი ძნელადის ქურჩისკენ დაეშვა.
 მთელი გზა ჩუმად ისხდნენ.
 მანქანა სოლოლაკში, ჭონქაძის მყუდრო ქუჩაზე მდებარე ძველებურ სახლთან გაჩერდა.
 მარმარილოს ფილებიან სადარბაზოში შევიდნენ, რკინის რიკულებიან განიერ კიბეს აუყვნენ.
 მამაკაცი მეორე სართულზე შედგა, კარი გააღო, მარტო შევიდა, შუქი აანთო, შემდეგ სასტუმრო ოთახით გაანათა და კარი გამოიხურა.
 – გთხოვთ, შებრძანდით! – ქალბატონს სასტუმრო ოთახისკენ გზა დაუთმო.
 ქალბატონი შეცბა, მბზინავ სახელურს გაუბედავად მოჰკიდა ხელი და კარი გააღო...
 – ღმერთო ჩემო! რა ხდება?! – სახტად დარჩა...
 კარის პირისპირ, კედელზე, ტყავის სამეფლის უკან, ყვანიას ატელიეში გადაღებული, თეთრ კაბაში მაგნოლიის ყვავილით დამშვენებული მისი პორტრეტი ეკიდა. სურათი ლამის მთელ კედელს ფარავდა...
 ეს სურათი გამორჩეულად უყვარდა. ამიტომ, ხშირად იბჭეღებოდა ნიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში.
 – კი მაგრამ... ეს როგორ? ხომ მითხარით, არ გიცნობთო! – თქვა გაოცებულმა...
 – გთხოვთ, მომიტევეთ! თქვენი მოტყუება არ მიფიქრია, ყველაფერი უნებურად მოხდა!
 მამაკაცი მიუახლოვდა, ხელი გაუნოდა.
 ქალბატონმა ინსტინქტურად შეაგება ხელები.
 მამაკაცი მოწინებით ეამბორა ორივე ხელზე.
 ისე ახლოს იყვნენ, ერთმანეთის გულის ძგერა ესმოდათ...
 – მარიტა, მთელი ცხოვრება მიყვარდი! ჩემი აუხდენელი ოცნება ხარ! დავიფიცე შენს მეტი ცოლად არავინ შემერთო! როცა დავრწმუნდი, ჩემი ოცნება არასოდეს ასრულდებოდა, საქართველოდან წავედი. ზღვას მივაშურე. ახალგაზრდობაში დადებული ფიცი შევასრულე, – ცოლი არ შემირთავს. შენს შესახებ ყველაფერი ვიცოდი,

ყველა როლი ვნახე. თუ რამ დაიბეჭდა შენს შესახებ ნიგნებში და ჟურნალ-გაზეთებში, ყველაფერი მაქვს, – თავით მიანიშნა ჩარჩოებში ჩასმულ წერილებზე, ფოტოებზე, აფიშებზე, ვრცელი სასტუმროს ოთხივე კედელს რომ ფარავდა; ჩემს ხვედრს დიდი ხანია შევეგუე, ვიცი, ყველაფერი დამთავრდა... მსურდა, ჩემი საიდუმლო საფლავში ჩამეტანა, მაგრამ, განგების ძალით, დღეს სხვაგვარად მოხდა. გთხოვ, მაპატიო...

გაოგნებული ქალბატონი მუხლებზე დაეშვა, სახე ხელებში ჩამალა და აქვითინდა...

* * *

ირიფრაჟა. სავარძელში მსხდომთ დაათენდათ. საუბარში შეუმჩნევლად გალუულიყო ლამე.

– შენი ახალგაზრდობისდროინდელი ფიცი კიდეც გახსოვს? უფრო სწორად, კვლავ ძალაშია? – ღიმილით ჰკითხა ქალბატონმა.

მამაკაცი უსიტყვოდ მიაჩერდა.

– რა დამავინყებს, თუმცა უკვე რა აზრი აქვს, – ამბობდნენ მისი თვალები.

– რაკი ასეა, მე თანახმა ვარ! – ქალბატონმა ჭიქა ასწია – გიო! ეს დღე დავლოცოთ, უჩვეულო, დაუჯერებელი, ჩემ ცხოვრებაში უბედნიერესი დღე!

ერთი კვირის შემდეგ, მოსკოვში გაფრინდნენ.

გადანყვიტეს, როგორც კი გიორგის სამსახური მონესრიგდებოდა, ხელი მოენერათ.

* * *

გიორგის სურვილი – სამუშაოდ საქართველოში გადასულიყო, მთავარ საზღვაო სამმართველოში მეხივით გავარდა. ოც წელზე მეტი მუშაობდა იგი ჩრდილოეთში, რამდენიმე გემის კაპიტანი იყო. ომის დროს ჩადენილ მის გმირობაზე ლეგენდები დადიოდა, – თუ როგორ შეებრძოლა მისი ოთხზარბაზნიანი სატვირთო გემი ნისლში კარის ზღვაში შემოპარულ მეკობრეს, – გერმანელთა მრისხანე ლინკორნს. იგი არ დაემორჩილა გერმანელთა ბრძანებას – შეენყვიტა რადიოკავშირი და ეთერში განგამის სიგნალი გადასცა. – ყველას! ყველას! ყველას!

– ვხედავ ლინკორნს ამოსაცნობი ნიშნის გარეშე! თავს ამერიკულ ხომალდად ასაღებს. მოითხოვს კავშირის შეწყვეტას და ცნობას ყინულის მდგომარეობაზე.

ცნობა დიქსონიდან სასწრაფოდ ცენტრს შეატყობინეს. ცენტრიდან მოვიდა პასუხი:

– თქვენს რაიონში ამერიკული ტრანსპორტი არ იმყოფება.

გემებმა დროულად მიიღეს განგამის სიგნალი, ნისლით ისარგებლეს და გაიფანტნენ. თავი ჩრდილოეთით შეაფარეს.

აისბერგის შიშით, გერმანელთა გრანდიოზულმა ლინკორნმა გემების გამოდევნება ვერ გაბედა. სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტებით, საჭურვლითა და ტყვია-წამლით დატვირთული გემი უეჭველ დაღუპვას გადაურჩა.

გერმანელთა შტაბში მომზადებული მზაკვრული გეგმა გიორგიმ ჩაშალა!

ძალები აშკარად უთანასწორო იყო, მაგრამ პირველი ზალპიც გიორგიმ გახსნა!

გერმანელებმა გიორგის გემზე შური იძიეს, – პირდაპირი დამიზნებით დაცხრილეს. გიორგი მძიმედ დაიჭრა, გონება დაკარგა.

ცეცხლის ალში გახვეული გემი, ზღვამ შთანთქა. ეკიპაჟის 137 წევრიდან მხოლოდ თოთხმეტი გადარჩა, ვინც გემის ჩაძირვამდე ნაზზე გადასვლა მოასწრო. ისინი ტყვედ აიყვანეს, მეზღვაურებმა მოასწრეს და გიორგის კაპიტნის ფორმა გახადეს, გერმანელებს არ ეცნოთ.

მეზღვაურები ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. გიორგი მომჯობინდა, სასწაულით ბანაკიდან გაქცევა მოახერხა და რუსეთში დაბრუნდა.

სარდლობამ მისი პატაკი განიხილა. ჩადენილი გმირობისთვის წითელი ვარსკვლავით დააჯილდოვეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ, როგორც გერმანელთა ტყვეობაში ნამყოფს, ციმბირში, საკონცენტრაციო ბანაკში უკრეს თავი.

* * *

გავიდა დრო. ყინული გალხვა. ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. საპატიმროდან გაათავისუფლეს, რეაბილიტაცია მიიღო, ნოდება აღუდგინეს, ჯილდოებიც დაუბრუნეს. გიორგი ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოში დაბრუნდა. ჭრილობა ხშირად ახსენებდა თავს. კაპიტნის ბოგურას დაემშვიდობა, მაგრამ ზღვას – ვერა. სამმართველოში ხელმძღვანელ თანამდებობაზე აღადგინეს, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, სპეტაკი ზნეობის მეზღვაური ყველას უყვარდა.

– კარგი, თანახმა ვარ! – მოლბა გიორგის მეგობარი, მთავარი სამმართველოს უფროსი: – პატაკი დანერე. ჯერ შევბუღებებს გაგიფორმებთ, ჩადი სამშობლოში, ნახე იქაურობა. თუ უჩვენოდ გაძლებ და აღარ დაიშლი, რა გაენყობა

გაგიშვებთ, გზასაც დაგილოცავთ!

* * *

მარიტა მოსკოვში გამოიძახეს, კინოფესტივალზე მიიწვიეს.

ხელმოწერის თარიღი უკვე დანიშნული იყო, ათასი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი, მაგრამ ფესტივალზე ჩასვლა აუცილებელი გახდა.


მოსკოვში ყველაფერმა კარგად ჩაიარა, – მორიგი აღიარება, მილოცვები, ყვავილები...

პროგრამის დასრულებისთანავე შინისკენ გაემგზავრა, ბილეთი პირველ რეისზე ჰქონდა შეკვეთილი. სასტუმროდან ლენინგრადში დარეკა, გიორგის ახალი ამბები ახარა, თბილისში დაბრუნებისთანავე დაგირეკავო – შეჰპირდა.

სართულის მორიგე იხმო, ნომერი ჩააბარა, ვესტიბიულში ჩავიდა.

სასტუმრო მოსკოვი იმ წლებში ყველაზე პრესტიჟული იყო, იქ მხოლოდ რჩეულნი ცხოვრობდნენ, – დეპუტატები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები, უცხოელი სტუმრები.

ამ შენობაში ადამიანს ისეთი გრძობა ეუფლებოდა, თითქოს მის ყოველ ნაბიჯს, ვიდაც ფარულად თვალს ადევნებდა. მუდმივად აკონტროლებდა. ადამიანები ვეს-



ჯუბილარი

ფსაუბნიერები ამოიკიცილი ციოუთიარა & წყილოები

ტიბიულში ჩუმად, რობოტებივით დადიოდნენ, ჩურჩულთ საუბრობდნენ,

მარიტამ შეკვეთილი მანქანა მოიკითხა.

– რა ხანია გელოდებათ, – ცივად უპასუხა ადმინისტრატორმა.

მარიტა მანქანის უკანა სალონში მოთავსდა. აეროპორტამდე გზა ფიქრებში გაილია.

რეისი 935 მოსკოვი–თბილისი უამინდობის გამო 13 საათამდე გადაიღო.

მარიტა ბარგზე ჩამოჯდა. კვლავ ზმანებაში ჩაიძირა... თვალწინ კინოკადრებივით გაირბინა იმ საღამოს ყველა წვრილმანმა. როგორ მოულოდნელად აესვეტა წინ, თითქოს სხვა სამყაროდან მოვლენილი შავკოსტუმიანი, ოქროსდაშინიანი პრინცი. როგორ მოაჯადოვა პირველივე წუთებიდან მისმა ხმამ.

...შინ მიპატიჟება გაახსენდა, პირველი ელდა, სასტუმრო ოთახის კედლიდან მისმა პორტრეტმა რომ შემოანათა...

– საძაგელი, როგორ მომატყუა, არ გიცნობო, – ნაზად გაეღიმა, გაახსენდა პრინცის აღსარება. იგრძნო, იმ წუთიდან მთელი მისი ცხოვრება უნდა შეცვლილიყო...

...ან რა ყავა მოადულა! ნამდვილი ჯადოქარია... ისეთი ყავა ცხოვრებაში არ მიგემნია – გაიფიქრა...

– ცხადდება რეგისტრაცია რეისზე 937 – მოსკოვი-თბილისი.

ზმანებიდან უმალ გამოერკვა.

მარიტამ ბარგი მიატოვა და ხალხისკენ წავიდა, – ჯერ ხომ ჩვენი რეისი უნდა იყოს?

რიგში მდგომ მგზავრებს ჩამოუარა. იქნებ, ვინმე ნაცნობისთვის მოეკრა თვალი და ბილეთის შეცვლა ეთხოვა. მაგრამ ვერავინ შეიცნო.

– ვის ვთხოვო? როგორ მეჩქარება! – აღმოხდა სასონარკვეთილს და ხელები უმწეოდ ჩამოუშვა.

– ქალბატონო, ჩემს ბილეთს დაგიტოვებთ, მე არ მეჩქარება, მორიგ რეისს დაველოდები, – ახალგაზრდამ ღიმილით ბილეთი გაუნოდა.

– ღმერთო ჩემო! გმადლობთ...

ადმინისტრატორის სარკმელთან მივიდნენ. ბილეთების გადაფორმება თხოვეს.

– არ შეიძლება, ბილეთი შეგიძლიათ ჩააბაროთ, მიიღებს ის, ვინც რიგში პირველია! – მკაცრად თქვა ადმინისტრატორმა.

სხვა გზა არ იყო, მარიტამ ხელჩანთა გახსნა, პასპორტი ამოიღო და გადაანოდა.

სახალხო არტისტის ნოდებამ მაგიურად იმოქმედა. ადმინისტრატორმა ბილეთები უხალისოდ გადაუფორმა.

რეგისტრაცია დასრულდა. მარიტა გახალისდა. სანუკვარი ბილეთი ხელთ ჰქონდა.

– ვერ წარმოიდგენთ, რა მადლობელი ვარ, ისე მეჩქარებოდა შინ დაბრუნება, უამრავი საქმე მაქვს. ჰო, მართლა ჩემი ტელეფონი ჩაინერეთ, ხელჩანთა გახსნა, ქალაქის ძებნა დაიწყო.

– ინებეთ, ქალბატონო! – ახალგაზრდამ მარიტას გვარის პირველ ასოზე გადაშლილი ბლოკნოტი გაუნოდა.

– თბილისში რომ ჩამოხვალთ, მაშინვე დამირეკეთ, თქვენს სიკეთეს ვერასდროს დავივინებ. ერთი მოულოდნელი სიურპრიზიც გელით! – გაუღიმა.

– გმადლობთ, ქალბატონო! თქვენი ავტოგრაფი ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარია, რაც კი ოდესმე მიმიღია ცხოვრებაში!

მარიტამ ახალგაზრდას თავზე ხელი გადაუსვა და შვი-

ლივით გულში ჩაიკრა.

– მშვიდობით! თბილისში შეხვედრამდე!

მარიტა გასასვლელისკენ მიმავალ მგზავრებს შეუერთდა. უკანასკნელად მოიხედა. ახალგაზრდას გაუღიმა და ხელი დაუქნია.

ლაინერმა კურსი თბილისისკენ აიღო...

* * *

...იმ დღეს საქართველოში ცუდი ამინდი იყო... მოსკოვიდან მიმავალი რეისი საშინელ მქებატებაში მოჰყვა.

თვითმფრინავი საქართველოს ცაში ვარსკვლავივით დაიფერფლა...

* * *

გიორგი ყოველ ნახევარ საათში რეკავდა თბილისის აეროპორტში, მაგრამ რეისის შესახებ ვერაფერი შეიტყო. შავი აზრები მოეძალა.

– ღმერთო! – ხომ არაფერი შეემთხვათ? – გაიფიქრა.

ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

გიორგის თვითმფრინავის დაღუპვა აცნობეს...

ყურმილიანი ხელი გაუშეშდა. გონებაში თითქოს ჭიანჭველები აირივნენ. მოსმენილი კარგად ვერც გააცნობიერა, ნელ-ნელა ზმანებაში ჩაიძირა და გონება დაკარგა...

გონს რომ მოეგო, სკამიდან წამოდგა. ავაზასავით მოქნილმა, ძლივს წამოსწია რამდენიმე საათში დაბერებული, მომჩვარული სხეული, სარკესთან მივიდა, საკუთარი თავი ვერ იცნო. თითქოს ვიღაც სხვა უმზერდა სარკიდან – გაოგნებული, განადგურებული, მიტკლისფერი სახით. შავი გრუზა თმა სრულიად გათეთრებოდა...

გიორგი მაგიდასთან მივიდა. ტელეფონს დასწვდა, ნომერი აკრიფა.

– ოტო ვადიმოვიჩ, გიორგი ვარ, გთხოვთ, ჩემი პატაკი შევბუღების თაობაზე გააუქმოთ!

– რაო? ამდენი ხვეწნა დაგჭირდა და ახლა აუქმებ? – გაკვირვებით მიუგო მთავარი სამმართველოს უფროსმა:

– რამდენი ხნით გავაუქმო?

– სამუდამოდ!

– ეს როგორ? აღარ მიდინარ საქართველოში? რა მოხდა?

– მოხდა, ოტო ვადიმოვიჩ! ვის გამოც სამშობლოში ვბრუნდებოდი, აღარაა! ყველაფერი დამთავრდა!

ხმა ჩაუნყდა. ყურმილი დადო.

სანერ მაგიდაზე, ჩარჩოში ჩასმულ, მაგნოლიის ყვავილიან ულამაზეს ქალბატონს თვალი გაუშტერა. ამ სურათს თილისმასავით მუდამ თან დაატარებდა...

ამდენი წლის შემდეგ, პირველად შეამჩნია, რომ სურათში ქალბატონი ოდნავ სევდიანად ილიმებოდა...

გემბანივით დაირწა იატაკი. თითქოს ფეხქვეშ მინა გამოეცალა...

საფეთქლები ლამის დაუსკდა.

ნიკაპთან ცრემლის წვეთები გაენასკვა.

ათასხიფათამოვლილი ზღვის მგელი, ცხოვრებაში პირველად ატირდა...

P.S. მოთხრობილი ამბავი რეალურად მოხდა XX საუკუნის 50-იან წლებში. მარიტას და გიორგის ლამაზი, ტრაგიკული სიყვარულის ისტორიამ, ექსავით გადაუარა თბილისს... გარკვეული მოსაზრებით, გმირების სახელები შეცვლილია.

გურიის თავალთა და კონკურენტო ოჯახები

ნითლიძეები

202. გიორგი იასეს ძე
მეუღლე თუხარა
ვაჟიშვილები: სიმონი, სილიბისტრო, ესიკა, მათე
ქალიშვილები: ივლიტა, ფატმანი, ებუხტი, ეფემია

203. იასე ოთარის ძე
მეუღლე ეკა
ვაჟიშვილები: დიონისე, აფრასიონი
ქალიშვილები: სიფიო, ატატო, ალათი

ჭილაძეები

204. ზურაბ ბაკის ძე
მეუღლე ბარბალე
ვაჟიშვილები: გიგო, მიხეილი, ბუჭუა
ქალიშვილები: ბარბალე, ელისაბედი, მელანია, სალომე
ფირანის ქვრივი მახულა
ვაჟიშვილები: დათა, სიმონი
ქალიშვილები: ფატმანი, ალათი, ივლიტა
ერდიშელის ქვრივი თათია
ვაჟიშვილები: იოსები, ქველი, ფარსადანი

205. შედან სიმონის ძე
მეუღლე მზეხა
ვაჟიშვილები: ივანე, მეზარბეგი, მაქსიმე, ანტონი, დარისპანი
ქალიშვილი ეკა

რხიკვიშვილები

206. ტაია დავითის ძე
მეუღლე მაია
ვაჟიშვილი ყარამანი
ქალიშვილი მაკა

207. აღმასხან სიმონის ძე
მეუღლე ალათი
ვაჟიშვილები: ფარნავაზი, სოლომონი
ქალიშვილი სოფიო

208. ქაიხოსრო სიმონის ძე
მეუღლე თებრონე
ვაჟიშვილი კონსტანტინე
ქალიშვილი სოფიო
ქაიხოსროს ძმა იასე'
მეუღლე ანა
ქალიშვილი ეკა

ჩხატარაიშვილები

209. ქველი იესეს ძე
მეუღლე ელისაბედი
ვაჟიშვილი იოსები
ქალიშვილი მართა
ქველის ძმა ნიკო

210. გეგენა ივანეს ძე
მეუღლე ანა
ვაჟიშვილები: გიგო, ივანე
ქალიშვილები: ასპიროზა, ესმა, ბაბუსი, ლისა

211. გაბრიელ ივანეს ძე

მეუღლე მართა
ვაჟიშვილი გლახუნა
გაბრიელის ძმა სიმონი

212. გიორგი ივანეს ძე
მეუღლე მელანია
ვაჟიშვილები: ხოსო, იულიანე
ქალიშვილები: ალათი, მარიკა, ეკა

შარაშიძეები

213. გიორგი ქაიხოსროს ძე
მეუღლე ელისაბედი
ვაჟიშვილები: ალექსანდრე, კონსტანტინე, ვარდენი,
ფარნაოზი, დათა
ქალიშვილები: ელენოზა, ეკატერინე

214. იესე სიმონის ძე
ვაჟიშვილები: დავითი, აღმასხანი,
დავითის მეუღლე ქრისტინე

შალიკაშვილები

215. როსტომ ქაიხოსროს ძე
მეუღლე დოდო
ქალიშვილი დესპინე
როსტომის ძმა ნიკო
როსტომის ქვრივი ანუკა

216. პრაპორშჩიკი კონსტანტინე დავითის ძე
მეუღლე ანა
ძმები მაქსიმე, ვახუშტი
მეუღლე მზეხა
ვაჟიშვილები: დავითი, ალექსანდრე
ქალიშვილები: ალათი, ეფემია, მაკა

217. ბიჭია ქვრივი სელინოზა
ვაჟიშვილი დათა
ქალიშვილი ეკატერინე

218. საყვარელ ედიშერის ძე
მეუღლე მისი სოფიო

219. გიორგი ბერის ძე

220. მაქსიმე მაქსიმეს ძე
ვაჟიშვილი დიმიტრი

შეპარლნაძეები

221. ესიკა ბეჟანის ძე
222. გიორგი ბუჭუას ძე

223. ერდიშელ ბუჭუას ძე
მეუღლე რუსუდანი
ვაჟიშვილები: გოგია
ქალიშვილები: ბაბუსია, მელანია

224. თომა ბეჟანის ძე
მეუღლე მისი ფატმანი
ვაჟიშვილი ბეჟანი

225. ბეჟუკა მაქსიმეს ძე

ანექდოტები



გურულები ჩინელებზე გაბრაზდნენ და ომი გამოუცხადეს.

- კი მაგრამ, ომს რომ გვიცხადებთ, იცით რამდენი ვართ? - ჰკითხეს ჩინელებმა.
- რამდენი ხართ?
- მილიარდნახევარი!
- დიდუ! რა დამარხავს ამდენ მკვტარს!



მაღაზიაში გურულს გამყიდველს:

- მოვითხოვ უკან წაილოთ ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები!
- უკან ჩვენ არაფერს ვღებულობთ, შემიძლია შევიცვალოთ!



გურულები მიცვალებულს დასაფლავებისათვის ამზადებენ:

- ჰალსტუხი არ გაუკეთოთ, არ უყვარდა სანყალს!
- კუბოში წოლაზე ხომ ჭკუა ეკეტებოდა, რას ამბობ!



ორი გურული ხნიერი ქალი ერთმანეთს ეუბნებიან:

- გახსოვს, ახალგაზრდობაში რა ლამაზები ვიყავით? განსაკუთრებით მე!
- ჰო, ახლა კი რა საშინლად გამოვიყურებით! განსაკუთრებით შენ!



მიხოს კოჭლი შვილი ჰყავს და მას ეხვეწება:

- მამი, გამიშვი რა ომში...
- კარგი რა შვილო, რა გინდა ომში - არაფრის გამკეთებელი შენ არ ხარ, ტყუილად აქ ჩვენ უნდა გვანერვიულო და იქ კიდევ სნაიპერს მოუშალო ნერვები!



მეგრელს უთხრეს გურულს კიბო აქვსო.

- ხოხ, სანყალი კიბო! - შეიცხადა მეგრელმა.



კახელი, გურული და მეგრელი ლაპარაკობენ:

კახელი: წელს ჩვენთან ისეთი გვალვა იყო, მინაზე სულ თხრილები გაჩნდა.

გურული: ჩვენთან კიდევ ისეთი გვალვა იყო რო ძროხები სულ რძის ფხვნილს იწველებოდნენ.

მეგრელი: ჩვენთან იყო გვალვა

თუ იყო. ხეები ძაღლებს დასდევდნენ, მოგვაფსითო.



თბილისში ჩამოსული გურული საპარიკმახეროში შევიდა:

- რა ღირს თმის შეჭრა?
- 15 ლარი.
- რა ამბავია, ცა, ნარკოზით მჭერი?!



რესტორანში გურულს ოფიცინტს ეკითხებიან:

- ქათამს როგორ ამზადებთ?
- რაფერ, ძამა და, დაკვლის წინ მივალთ რამდენიმე ახლობელი, ჩამოვუჯდებით, ანეკდოტებს მოვუყვებით, ხასიათზე მევიყვანთ და მერე შევაპარებთ ნელ-ნელა, რომ შეემზადოს დასაკლავად.



გურული ზის ციხეში. მეორე გურული ეკითხება:

- რეიზა ზიხარ?
- არ მიშობენ და...



გზაზე მიმავალი კაცი დაინახავს სვანი გუბეში ჩაჯდება, ამოვა, ჩაჯდება ამოვა. კაცი ეკითხება:

- რას აკეთებ?
- ჩოხასა ვრეცხავ, - უპასუხა სვანმა.
- მერე სარეცხი მანქანა არ გაქვს?
- მაქვს, მაგრამ შიგნით რომ ვჯდები თავბრუ მესხმის.



გურულს ჭაში ჩაუვარდა სიდერი და მოკვდა. მიუსამძიმრა ახლობელმა გურულს, ეს რა დაგმართინა, ძამაო.

გურულმა უპასუხა: - მაი აფერი, ძამა, მაგ ჭიდან მაინც არ ვსვამდი წყალს!



რა განსხვავებაა გურულს აბდალსა და კახელს სულელს შორის?

- კახელი ქვებს ისერის, გურული კი პაპკით დეიარება.



ომიაა.. სვანი გადმოდგება და დააყრის ტყვიამფრქვევს მტერს. გაიხედავს და მეგრელს სანგრადან ხელი აქვს ამოყოფილი და ისე ისვრის, - კაცოო მშიშარა ხარ, გემინია? ეკითხება სვანი

- ისე მეზიზღებიან მაგათი დანახვაც არ მინდა - პასუხობს მეგრელი.



გურული ეკითხება ღმერთს:

- ღმერთო მართალია რო შენთვის 1 მილიონი წელი 1 წამია?
- კი.
- მართალია რო შენთვის 1 მილიონი 1 ცენტია?
- კი.
- 1 ცენტი მომეცი რა გთხოვ
- ერთი წამი დამელოდე...



ვაკელი გოგონა დაქალებს უყვება:

- გუშინ ბნელ სადარბაზოში თავს მანიაკი დამესხა.
- დაქალები (ერთხმად, აღფრთოვანებით):
- სექსუალური?
- ნუუ... არც ისე...



ორი ნარკომანი ცათამბჯენზე არიან და ლაპარაკობენ:

- საშუა, აქიდან რომ გადავხტე მინამდე რამდენი ხანი დამჭირდება?
- სამი დღე და ღამე.
- მერე მოვკვდები?
- აბა რა, შე ჩემა სამი დღე-ღამე საჭმლის გარეშე ვერ გაძლებ!



სვანი გლობუსს ათვალიერებს და ოკეანეში დაიხრჩობა.



მიხო ექიმთან მივიდა. ექიმმა გასინჯა და წამლები გამოუწერა - ესენი დალიეო.

- კი მაგრამ, ექიმო, ღვინის დალევა შეიძლება ჩემთვის, რატომ არ მიკრძალავ?

- წადი ერთი შენი დედაც... სარიც გითხრია...

- რას მერჩი ექიმო, რა გითხარი ეგეთი?

- კი არაფერს გერჩი კაცო, საიდან მოიტანე! უბრალოდ, დალევა შენთვის მართლა არ შეიძლება, მაგრამ მე რომ ავიკრძალო, გამოგივლიან ძმაკაცები - წამოდავლიოთო, შენც გაყვები, ცოლი მოგაძახებს - სად მიდიხარ, ექიმმა ხომ ავიკრძალაო! შენ ეტყვი - ერთი იმ ექიმის დედაცო... ჰოდა ერთი შენი დედაც, სარიც გითხრია, თუ კაია!



ასოფლიოში ჩართვით

უნიკალური



ვლადიმერ (ბიჭიკო) ასკურავა
Vladimer (Bichiko) Askurava

უძველესი ქართული მედიცინის ნიაღში მკურნალთა არაერთი საგვარეულო შტო იშვა. მათ შორის ორნახევარი საუკუნეა ღირსეულ ადგილს იკავებს ასკურავათა დინასტია...

ასკურავების საგვარეულო მალამოს შესახებ, შუასაუკუნეების ქართულ ხელნაწერებშია მოთხრობილი. სწორედ ასკურავების საგვარეულო უყრის საფუძველს მსოფლიოში ერთადერთ უნიკალურ მეთოდს – მოტეხილობის მკურნალობა უთაბაშიროდ, უბრალო გადახვევითა და მალამოთი.

საგვარეულო მალამოს საიდუმლოებას ბატონი ბიჭიკო მამისგან, დავით ასკურავასგან ნახევარი საუკუნის წინ ეზიარა. ამ ხნის მანძილზე, მისი შემწეობით უამრავმა ადამიანმა ჰპოვა შვება...

ბიჭიკო ასკურავას ფირმა პოპულარულია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც თავისი კაბინეტები აქვს გახსნილი.

წარსულში სპორტი ველორბოლა, მხატვრობა – სახელმძღვანელო მკურნალის ინტერესთა მხოლოდ ნაწილია. ქეშ-მარიტი მამულიშვილი, კარგი მოსაუბრე, ხალასი იუმორით სავსე, თავმდაბალი და კაცთმოყვარე, საუკეთესო მამა, ბაბუა და დიდი ბაბუაა. ტრადიცია გრძელდება... ბატონი ბიჭიკოს გვერდით შვილიშვილები – დათო და ლადო ასკურავები მუშაობენ.

The **Only Unique**
in **the World**

In the depths of the ancient Georgian folk medicine several genealogical trees of the healers have been risen. Among them during last more than two centuries the honorary place takes the dynasty of Askurava. Just this family is the creator of a unique method - the healing of bone-fractures without any plaster, but with usual bandaging and special ointment.

The successful follower of his ancestors' experience - Mr. Bichiko Askurava - professor of Folk Medicine, Academician of National Academy, the member of Academy of Folk Medicine of China-Israel-USA. Askurava's method and ointment cure rapidly and effectively the bone-fractures, meniscus, osteochondrosis, dislocations and other diseases of skeletal system, without surgical intervention and plaster. The outcome of the treatment is two - three times more effective and faster, than using the surgical operations.

"Askurava" Ltd. is popular not only in Georgia, but also in many countries of the world, where its units are settled. In the hands of the excellent healer 140 thousand cases have been already passed, while to 125 thousand patients the health had been completely saved. Today near to the famous healer successfully are working *Irakli Askurava* and *Rodiko Melshvili*.

The time will come, and the future generations of The Askurava family will also run in secret of their ancestors.

თბილისი, ლესელიძის ქ. №25

ტელ.: 2999694, 2987995,

577411911, დავით ასკურავა: 593550030

www.facebook.com/askuravahealer

ISSN 2346-7606



9 772346 1760009